მიწის რესურსული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება – ეკონომიკის მდგრადი განვითარების მთავარი ფაქტორი

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2026.01.01

ანოტაცია

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, მრავალ გამოწვევათა შორის, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის, კერძოდ, მიწის რესურსების რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებაზეა არსებითად დამოკიდებული ეკონომიკისა და სოციალური სფეროს კომპლექსური განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა, საბაზრო ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაცია, საბოლოოდ, მოსახლეობის კეთილდღეობა.

სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების ანალიზი ადასტურებს, რომ მიწის რესურსების პოტენციალის მართვასთან დაკავშირებული მოვლენები, პროცესები რთულ კვანძებად ჩამოყალიბდა და მათი გადაწყვეტა მოითხოვს სახელმწიფოს, მეცნიერებისა და საზოგადოების მხრივ მიზანმიმართულ ძალისხმევას, ქვეყნის გეოეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას. ამ მიზნით აუცილებელია განისაზღვროს განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომა.

საკვანძო სიტყვები: ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, მიწის ინვენტარიზაცია, ჰოლისტიკური მიდგომა, მიწის ფონდი, სასოფლო ტერიტორია, ადგილობრივი მმართველობა.

ნოდარ ჭითანავა
საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი სტუ-ის ი. ჟორდანიას სახ. საწარმოო ძალებისა და ბუნერივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
https://orcid.org/0009-0004-5716-0694
E-mail: chitanavanodar@gmail.com

EFFECTIVE USE OF LAND RESOURCE POTENTIAL – A KEY FACTOR IN SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT

Nodar Chitanava
Academician of the Georgian Academy of Agriculture
Chief Researcher of the I. Zhordania Research Center for Production Forces and Natural Resources of the Georgian State Technical University
https://orcid.org/0009-0004-5716-0694
E-mail: chitanavanodar@gmail.com

ABSTRACT

At the current stage of the country's economic development, among many challenges, it essentially depends on the rational and effective use of natural resource potential, in particular, land resources creating an environment conducive to the complex development of the economy and social sphere, optimizing the sectoral structure of the market economy, and ultimately, the well-being of the population.

Analysis of socio-economic transformations confirms that events and processes related to the management of land resource potential have formed complex knots and their solution requires deliberate efforts on the part of the state, science, and society, as well as the effective use of the country's geoeconomic and intellectual potential. For this purpose, it is necessary to define strategic directions of development, conceptual and methodological approaches.

Keywords: natural resource potential, land inventory, holistic approach, land fund.

ძირითადი ტექსტი

სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ქვეყანაში უწყვეტად და ზიგზაგისებურად მიმა დინარე ტრანსფორმაციული პროცესების განვითარების დღევანდელ ეტაპზე მთელი სისრულით გამოვლინდა ქვეყნის რესურსული პოტენციალის, განსაკუთრებით მისი **სამი მთავარი სტრატეგიული რესურსის** რაციონალურად და ეფექტიანად, კომპლექსურად და თანმიმდევრულად გამოყენების აუცილებლობა. ესენია: საქართველოს მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსები; გეოეკონომიკა, როგორც გლობალურ პრინციპებთან ეროვნული ეკონომიკის ადაპტირებისა და საქართველოს რესურსული პოტენციალის, კერძოდ ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად ათვისების მასტიმულირებელი ფაქტორი, ასევე გადარჩენილი, ანუ მილევადი და მასთან ერთად ნელი ტემპებით ფორმირებადი სამეცნიერო პოტენციალის ტრანსფორმაციულ პროცესებში მაქსიმალურად და ეფექტიანად ჩართვა (იგულისხმება, რომ იგი განვითარების ფაქტორია).

ამიტომ საჭიროა სახელმწიფომ (მთავრობამ) შეიმუშავოს ბუნებრივი რესურსების მართვის ისეთი სისტემა (სტრატეგია), რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების, უპირველეს ყოვლისა, მიწის რესურსების, **ქვეყნის მდგრადი განვითარების დაჩქარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად** გამოყენებას, რაც ხელს შეუწყობს მიწის, როგორც ინტეგრირებული სისტემის რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებას. უფრო კონკრეტულად, მიწის ერთ-ერთი მთავარი ელემენტის, **ნიადაგის**, რომელიც სოციალურ ფუნქციას ასრულებს და სასურსათო უზრუნველყოფის მყარი საფუძველია, მიზნობრივად გამოყენებას. ასევე, **სასარგებლო წიაღისეულის რესურსების** თანამედროვე ტექნოლოგიებით გადამუშავება მრავალდარგოვანი მრეწველობის განვითარების ხელშემწყობ გარემოს ქმნის, **სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის** (ფლორისტული და ფაუნისტური რესურსების) თანამედროვე ტექნოლოგიებით წარმოება უზრუნველყოფს კვების, მსუბუქი, ფარმაცევტული მრეწველობის და სხვა დარგების განვითარებას; **რეკრეაციული რესურსების რაციონალური განვითარება** ზრდის ტურიზმის, საკურორტო მეურნეობის განვითარების მასშტაბებს; **გეოეკონომიკური ფაქტორის მიზნობრივად ქვეყნის განვითარების სტრატეგიის** შესაბამისად გამოყენება ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პირობებს ქმნის (საქართველო საერთაშორისო კაპიტალის ფორმირებაში მონაწილეობს); **საცხოვრისი გარემოს გაუმჯობესება** უშუალოდ არის დაკავშირებული ეკოლოგიური და დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტასთან, **ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ობიექტების რაციონალური გაადგილება** (აღნიშნულ ობიექტებზე ფუნქციონირებს სამუშაო ძალა, რომლის აღწარმოებაზეა დამოკიდებული ქვეყნის საწარმოო ძალების წარმატებული განვითარება) ხელს უწყობს შრომის დანაწილების პროცესის გაღრმავებას; **ქვეყნის სასაზღვრო ნაწილის** (სახელმწიფო საზღვარი – ტერიტორია, რომელსაც პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტატუსი აქვს) ეფექტიანი გამოყენება უზრუნველყოფს ქვეყნის თავდაცვით უნარიანობის ამაღლებისა და მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების (რეგიონული და დარგობრივი თავისებურებების) სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელებას.

ნიშანდობლივია, რომ ქვეყნის განვითარებაში გამოიკვეთა საშიში ტენდენცია – მიწის რესურსული პოტენციალის მართვასთან დაკავშირებული მოვლენები, **პროცესები რთულ კვანძებად ჩამოყალიბდა,** რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს სახელმწიფოს, მეცნიერებისა და საზოგადოების მხრივ მიზანმიმართულ ძალისხმევას, გეოეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის კონცენტრირებულად და თანმიმდევრულად გამოყენებას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი მიწის, როგორც ინტეგრირებული სისტემის (მთელის) და მისი შემადგენელი ნაწილების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენება.

საქართველოს ბუნებრივ-რესურსული, გეოეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალი მრავალფეროვნებით, თვისებრივი განზომილებებით გამოირჩევა და ეროვნული სიმდიდრის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველო ბუნებრივი და ინტელექტუალური რესურსებით ღარიბი ქვეყანა არ არის.

დრო ითხოვს პასუხს კითხვაზე როგორ ვიყენებთ ბუნებრივ-რესურსებს, მოცემულ შემთხვევაში მიწის რესურსებს?

ბუნებრივი რესურსების (პოტენციალის) გამოყენების, დაცვის და აღწარმოების სფეროში არსებული პრობლემების კვლევაში მაქსიმალურად და ეფექტიანად უნდა იყოს გამოყენებული თანამედროვე მეცნიერებაში აღიარებული მიდგომები (მეთოდები). ეს ადვილი ამოცანა არ არის, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ მეცნიერების განვითარებაში გარდაქმნების პერიოდში ჩამოყალიბებულ ტენდენციებს. კერძოდ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საზოგადოებრივი აზროვნების კრიმინალიზაციის მასშტაბური პროცესების შედეგები რეალური საფრთხეა საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებისათვის, ის პირველ რიგში აფერხებს განათლებისა და მეცნიერების განვითარებას, აღრმავებს უნდობლობას მეცნიერული აზრის მიმართ, სამეცნიერო წრეებში ქმნის ხელის ჩაქნევის განწყობას, ასტიმულირებს ახალგაზრდობის დაუინტერესებლობას სამეცნიერო საქმიანობისადმი.

ყოველივე ეს ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გაღრმავებასა და განვითარებაზე. თუ როგორია ასეთი საშიში ტენდენციების როლი მიწის რესურსების გამოყენებაში ქვემოთ განვიხილავთ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტერმინი „მიწა“ მოიცავს არა მხოლოდ მიწის ფართობს, რომლის გამოყენებაც შეიძლება სოფლის მეურნეობაში პროდუქციის (ნედლეულის) წარმოებისათვის, არამედ, ტყეს; წყლის რესურსებს; რეკრეაციულ რესურსებს; წიაღისეულს; განსაზღვრულ გეოგრაფიულ მდებარეობას, საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ სივრცეს (შენობებს).

მიწის მრავალფუნქციური მნიშვნელობისა და როლის

შესახებ სრულ წარმოდგენას გვაძლევს ლიტერატურაში ფიქსირებული შემდეგი მოსაზრება: „მიწა არის ყველა ქალაქის, დაბის, სოფლის, სახლის ადგილ-სამყოფელი, იგი არის სურსათის, სამშენებლო მასალებისა და ნარმოების, ნახშირის, გაზის, ნავთობის, ნაკადულების, მდინარეების და სხვა საჭირო რესურსების წყარო. იგი არის ადამიანის საქმიანობის საფუძველი. სახლები და ქარხნები, ტყეები და ფერმები, გზები და რკინიგზები, შახტები და წყალსაცავები – ყველა ეს მიწაზეა დაფუძნებული. იგი გვთავაზობს უსასრულო შესაძლებლობებს განვითარებისა და აღმოჩენებისათვის, იგი არის სიმდიდრის ერთადერთი წყარო“.

ინტერეს მოკლებული არ იქნება მოკლედ გავეცნოთ კაცობრიობის განვითარებაში მიწის როლის შესახებ მკაფიოდ გამოხატულ მოსაზრებებს, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოითქვა, მაგრამ შინაარსობრივად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა (აქვს) ამჟამად ქვეყანაში მიწის რესურსული პოტენციალის კვლევის პროცესის სწორად წარმართვისა და შესაბამისი დასკვნების ფორმულირებისათვის.

ჩინელი ფილოსოფოსი ლაო-ძი (მე-VI-V საუკუნეები ჩვ. წ. აღრიცხვამდე) ამბობდა, რომ სახელმწიფომ შეიძლება მიაღწიოს კეთილდღეობას, თუ სამი რამ გააჩნია: **მიწა, ხალხი და მართვა.**

ასევე მსოფლიოში ფართოდაა ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის ი. პეტის (მე-17 საუკუნე) შეხედულება: **„შრომა არის სიმდიდრის მამა, დედა კი – მიწა“.** დიდი ილია აღმატებულად წერდა: **„ტყუილად კი არ ეძახიან მიწას „დედაო“, ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა, იმას დავხარით დღე და ღამ, ჩვენი ჭირიც და ლხინიც ის არის“.**

როგორც სქემა 1-დან ჩანს, მიწა ინტეგრირებული სისტემაა. იმისთვის, რომ მომზადდეს თანამედროვე პირობებში მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, აუცილებელია კვლევაში ამჟამად გამოყენებული მეთოდების (შემეცნების დიალექტიკური, ისტორიულ-ლოგიკური, ეკონომიკურ-მეთოდოლოგიური, მოდელირების, ინფორმაციების მოძიებისა და დამუშავების, ეკონომიკურ-სტატისტიკური, სისტემური, შედარებითი ანალიზი, ინდუქცია, დედუქცია და ა.შ.) შემდგომი გაფართოება და სრულყოფა. ამ მიზნით შევარჩიეთ საყოველთაოდ ცნობილი ჰოლისტიკური მეთოდი (იგი უპირატესად მართვის სისტემებში გამოიყენება), რომელიც ეფუძნება ცნობილ პრინციპს – სამყარო ერთიანი მთელია, მის სივრცეში წარმოქმნილი ცალკეული მოვლენები და ობიექტები მთელის ნაწილებია. როგორც მეცნიერებაში მიჩნეულია, აღნიშნული მეთოდი ეყრდნობა არისტოტელეს იდეას, რომ „მთელი ყოველთვის არის უფრო მეტი, ვიდრე მისი ნაწილების ჯამი“.

ასეთი მეთოდით მიწის, როგორც რესურსის, განხილვა იძლევა საფუძველს უფრო სრულად წარმოვიდგინოთ მიწის გამოყენების, დაცვისა და აღწარმოების პროცესები და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები უფრო ღრმად გავაცნობიეროთ.

სქემა 2 გვიჩვენებს, რომ მიწა, ბუნებრივი რესურსი – ინტეგრირებული სისტემის ერთ-ერთი ნაწილი, იგი როგორც მთელი, რამდენიმე კომპონენტს შეიცავს. მათი შესწავლა, მით უფრო ურთიერთმოქმედებისა და ურთიერთდამოკიდებულების პროცესში უფრო სრულად მოგვცემს **მიწის რესურსების გამოყენების სიღრმისეულ პროცესებში ობიექტურად წვდომის საშუალებას.**

ამასთან 1-ლი და მე-2 სქემები იძლევა მხოლოდ ვიზუალურ სურათს. იმისათვის, რომ მიწის, როგორც ბუნებრივი რესურსის ერთ-ერთი მთავარი შემადგენლის – ნიადაგის – გამოყენების დონე განვსაზღვროთ (შევაფასოთ) აუცილებელია მის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მოძიება (ანალიზი) და სხვა შემადგენელ ნაწილებთან, ვთქვათ, წყლის, ტყის, რეკრეაციულ რესურსებთან ურთიერთგანპირობებულობის დონის

სქემა 1. მიწა მრავალფუნქციურია: იგი ერთდროულად არის ბუნებრივი რესურსი, წარმოების ძირითადი ფაქტორი, მეურნეობრიობის (სამართლებრივი ურთიერთობების) ობიექტი



წყარო: *შედგენილია ავტორის მიერ*

სქემა 2. მიწა (ბუნებრივი რესურსი) – ინტეგრირებული სისტემა



წყარო: *შედგენილია ავტორის მიერ*

განსაზღვრა. ასეთი მიდგომით უნდა განვიხილოთ სხვა შემადგენელი (მაგალითად წიაღისეული და სხვა) ნაწილებიც. მიწის (როგორც სისტემის) კომპონენტებს მეცნიერების შესაბამისი მიმართულება (დარგი) ემსახურება. სამწუხაროდ, ქვეყანაში ნიადაგის გამოყენებისა და აღწარმოების მეცნიერული უზრუნველყოფის დონე უკიდურესად დაბალია.

დღევანდელ პირობებში, ზემოთ აღნიშნული მიდგომით კვლევის პროცესს ხელს უშლის მიწის ამა თუ იმ მახასიათებლის (ჩვენს შემთხვევაში ბუნებრივი რესურსის) შესახებ ობიექტური ინფორმაციების არ არსებობა. ცნობილია, რომ ნიადაგი ასრულებს სოციალურ ფუნქციას. მის რაციონალურად გამოყენებაზეა არსებითად დამოკიდებული საზოგადოების სურსათით უზრუნველყოფის დონე. სამწუხაროდ, საქართველოში ნიადაგის (საერთოდ მიწის) დღევანდელ რეალურ მდგომარეობაზე სანდო ინფორმაცია არ მოიძებნება. მონიტორინგი, მიწაზე სახელმწიფო კონტროლი სრულად არ ხორციელდება.

ქვეყანაში არ არის ინფორმაცია ნიადაგის რესურსული პოტენციალის, მით უფრო ნიადაგის დეგრადაციის პროცესების მიმდინარეობის შესახებ. მიწათმოწყობა როგორც სისტემა მოშლილია. მიწის ნაკვეთები დაქუცმაცებულია. მიწის პრივატიზაციის შედეგად 2-3 ნაკვეთი ჰქონდა მეურნეობების 48,8%-ს, მიწის ნაკვეთების საშუალო რაოდენობა შეადგენდა 2,33-ს. მეორადი დაჭაობება გრძელდება. მოსავლიანობა დაბალია. მაგალითად, 2024 წელს ხორბლის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 2,9 ტონა შეადგინა. ამავე წელს ქვეყანაში პურპროდუქტების მოხმარებამ შეადგინა 114 კგ. აქედან, ადგილზე წარმოებული იყო მხოლოდ 40 კგ; ბოსტნეულის მოხმარება – 58 კგ, ადგილზე წარმოება – 36 კგ; ხორცის მოხმარება 40 კგ, ადგილზე წარმოება – 24 კგ. 2024 წელს ქვეყანაში სასურსათო პროდუქციის იმპორტი 1 მლრდ დოლარზე მეტით ჭარბობდა ექსპორტს. ეს მაშინ, როცა 2024 წელს ქვეყანაში ნათესმა ფართობმა მხოლოდ 191,5 ათასი ჰექტარი შეადგინა, რაც სახნავი ფართობების სავარაუდო მაჩვენებლის დაახლოებით 1/3-ს შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ მიწის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი (ნიადაგი) ეფექტიანად არ გამოიყენება. **ნიადაგის უნივერსალური თვისება – რომ იგი დარგწარმომქმნელი ფენომენია, საზოგადოებას, მიწის მესაკუთრეების დიდ ნაწილს გაცნობიერებულიც არა აქვს.** უფრო მეტიც, ქვეყანაში საერთოდ მიწის (ნიადაგის) ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების ყურადღების მიღმა დარჩა.

ნიადაგი, რომელიც სოციალურ ფუნქციას ასრულებს, ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორიცაა. ეს კარგად ჩანს საქართველოში ჩაის კულტურის, როგორც მემცენარეობის დარგის ჩამოყალიბების, ეფექტიანად ფუნქციონირებისა და თანამედროვე პირობებში მისი, ფაქტობრივად, მილევადი პროცესების სისტემური ანალიზიდან. ცნობილია, რომ საქართველოში გასული საუკუნის 30-იან წლებში ნიადაგების კლასიფიკაციას საგანგებო ყურადღება მიექცა. კულტურულმა რევოლუციამ განათლების, მეცნიერების განვითარების მაღალი ტემპებით, თვალსაჩინო როლი შეასრულა მეცნიერული მიდგომის საფუძველზე ნიადაგების მიზნობრივად გამოყენების ძირითადი მიმართულების სწორად განსაზღვრაში.

1921 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ჩაის პლანტაციები გაშენებული იყო 900 ჰექტარზე (დასავლეთ საქართველოში, ეწერ-მჟავე ნიადაგებზე, რომელიც ჩაის კულტურის განვითარებისათვის ოპტიმალური აღმოჩნდა). 1988 წელს ჩაის პლანტაციების საერთო ფართობმა შეადგინა 67 ათასი ჰა. ჩაისა და სხვა სუბტ-

როპიკული კულტურების ფართოდ გავრცელება, მხოლოდ ხელსაყრელ ნიადაგობრივ პირობებზე არ ყოფილა დამოკიდებული. ჩაიზე, როგორც სასურსათო პროდუქტზე თითქმის განუსაზღვრელი მოთხოვნილება ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის ერთანი სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირების სივრცეში. საბჭოთა კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებით, 1929 წელს შეიქმნა საკავშირო (სათაო) ანასეულის ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი – მეჩაიეობის (როგორც მემცენარეობის დარგის განვითარების) მეცნიერული უზრუნველყოფის საერთო-საკავშირო კერა. ჩაის ფოთლის, როგორც ნედლეულის გადამუშავების მიზნით, ბუნებრივია, ჩამოყალიბდა მომიჯნავე დარგიც – ჩაის მრეწველობა, რომელსაც ემსახურებოდა შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ახალი დარგების ფუნქციონირებისათვის საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით საქართველოს განათლების სისტემაში შეიქმნა ტექნიკუმები, უმაღლესი სკოლის ფაკულტეტები, ინსტიტუტი. ჩაის ნედლეულის (მემცენარეობა) წარმოებისა და გადამუშავების (ჩაის მრეწველობა) ტექნიკური აღჭურვილობის მუდმივად განახლებისათვის ქვეყანაში ჩამოყალიბდა მრეწველობის (მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის და სხვა დარგის საწარმოები) შესაბამისი საპროექტო ორგანიზაციები. ფაქტობრივად, ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების ფართოდ გავრცელების ფონზე შეიქმნა მსხვილი სამრეწველო-სამეცნიერო კომპლექსი.

პირველად მსოფლიოში ქართველმა სპეციალისტებმა შექმნეს ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა, რომელმაც ფოთლის კრეფის უაღრესად შრომატევადი პროცესი მთლიანად მექანიზირებული გახადა. საქართველომ ჩაის მწარმოებელი ქვეყნების სიაში ჯეროვანი ადგილი დაკავა. მეჩაიეობა და მის ბაზაზე ჩამოყალიბებული სამრეწველო-სამეცნიერო კომპლექსი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა. ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველო“ ეფექტიანობაზე მიუთითებს ისეთი მახასიათებელი, როგორიცაა მწარმოებლურობა. ზუგდიდის რაიონის ინგირის სახელმწიფო მეურნეობაში 42 მანქანა წელიწადში კრეფდა 5 ათას ტონა ჩაის ფოთოლს. კრეფის რთულ პროცესში ხელით შრომა არ მონაწილეობდა.

სამწუხაროდ, გასული საუკუნის 90-იან წლებში ცნობილი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კატაკლიზმების ქვეყნისათვის თავს მოხვეულ პროცესში ყველაზე დიდი დარტყმა მეჩაიეობამ მიიღო. იგი ფაქტობრივად, მილევად ფაზაშია. დღეს ისიც არ არის ცნობილი, რამდენი ჰექტარი ჩაის ფართობი გვაქვს. მეჩაიეობის ზონის მცხოვრებნი, ვინც აღნიშნულ დარგს ახლო წარსულში ემსახურებოდა, ელოდებიან ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებას მეზობელ თურქეთში. გადარჩენილი ფართობების დიდი ნაწილი კი გავერანებულია, ეკალბარდითა და ეწერ-ნიადაგებისათვის დამახასიათებელი გვიმრითაა დაფარული. ეს ნიშნავს იმას, რომ ნიადაგების უნიკალური ტიპი რაციონალურად არ გამოიყენება. აღნიშნული მაგალითიდან დასკვნების გამოტანა გვმართებს, ჩვენ კი ვაყოვნებთ.

ერთი რამ ცხადია, მიწა (ნიადაგი) – ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის უმთავრესი კომპონენტი ყველა დროსა და პოლიტიკურ სისტემაში სახელმწიფოს, მეცნიერებისა და საზოგადოების მუდმივი ყურადღების საგანი უნდა იყოს.

როგორც მე-3 სქემიდან ჩანს, მიწა (ბუნებრივი რესურსი) ამავდროულად ასრულებს წარმოების (განვითარების) ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორის ფუნქციას და სხვა ფაქტორებთან ერთად მათი ურთიერთგანპირობებულობის დონის შესაბამისად მონაწილეობს დოვლათის წარმოებაში. წარმოების ფაქტორებად იწოდება ეკონომიკური რესურსები, რომლებიც აუცილებელია საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის. ტრადიციულად გამოიყოფა წარმოების შემდეგი ფაქტორები: მიწა (ბუნებრივი რესურსი), შრომა (შრომითი რესურსი), კაპიტალი (ინვესტიციური რესურსი), ასევე მეწარმეობრივი უნარი, ინფორმაცია, ინოვაცია.

წარმოდგენილ ნაშრომში აღნიშნულ 1-4 ფაქტორს უცვლელად ვტოვებთ. რაც შეეხება ინოვაციას, ინფორმაციას, ჩვენ ვიზიარებთ იმ ექსპერტთა აზრს, ვინც თვლის, რომ **ინტეგრირებული ცოდნა** მოიცავს

სქემა 3. მიწა წარმოების სხვა ძირითადი ფაქტორების სისტემაში



წყარო: *შედგენილია ავტორის მიერ*

ორივეს ერთად. ამასთან, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ ეტაპზე, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ტრანსფორმაციული პროცესების განვითარების თავისებურებებმა გვიჩვენა, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება (როგორც განვითარების ფაქტორი, რომელსაც მოქმედებაში მოყავს რესურსული პოტენციალი) განსაკუთრებულ როლს ასრულებს ახალი ტიპის (საბაზრო) ეკონომიკური სისტემის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში. თითოეულ ამ ფაქტორს აქვს განსაზღვრული ფუნქცია, რომელსაც არეგულირებს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, ორგანიზაციულ-მმართველობითი სისტემა, ეკონომიკური მექანიზმი, მეცნიერული უზრუნველყოფის პრინციპები. თითოეული ფაქტორი შედარებით სრულ სურათს გვიჩვენებს, თუ მათ განვიხილავთ ურთიერთზემოქმედების პროცესში, თანაც მიმდინარე ცვლილებების ფონზე. ეს იძლევა საფუძველს, უფრო ობიექტურად შეფასდეს მიწის (ინტეგრირებული სისტემის) ფუნქციონირების პოზიტიური და ნეგატიური მხარეები, რაც სწრაფად ცვალებად სიტუაციებში მანევრირების, რესურსების კონცენტრაციის მეტ შესაძლებლობას ქმნის.

როგორია სქემაზე წარმოდგენილი ფაქტორების როლი მიწის რესურსების გამოყენებაში?

შრომის, როგორც წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორის როლის გაცნობიერებისათვის განვიხილოთ რამდენიმე მონაცემი. 2024 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის მიხედვით, მოსახლეობის 38,1% სოფლად ცხოვრობს. სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში 2024 წელს შეიქმნა ქვეყნის მშპ-ს 6,3%. 1989-2024 წლებში სოფლად მცხოვრებთა რაოდენობა 918 ათასი კაცით შემცირდა. თუ 1988 წელს ყოველ 1000 კაცზე ბუნებრივი მატება შეადგენდა 8 კაცს, 2024 წელს გარდაცვალების მაჩვენებელი აღემატება დაბადებულთა მაჩვენებელს 4488 კაცით. ეს მონაცემი მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში დემოგრაფიული კრიზისი საშიშ ხასიათს იძენს. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კმ^2-ზე შეადგენს 64,8 კაცს. 2024 წელს საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე ქვეყანაში შეადგენდა 1895,7 ლარს, ერთ სულზე - 590,1 ლარს. აქედან სოფლად, შესაბამისად, 1755,3 ლარს და ერთ სულზე – 532,5 ლარს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი შინამეურნეობების ფულად შემოსავლებში 2023 წელს შეადგენდა 5,3%-ს. საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე – 85,7 ლარს. ამ დროს, სოფლად სამუშაო ძალის აღწარმოება კრიტიკულია. 2024 წელს ქვეყანაში რეგისტრირებული იყო 1 მლნ-ზე მეტი ბიზნეს სუბიექტი. მათ შორის, მოქმედი იყო მხოლოდ 247 ათასი სუბიექტი (24,7%). სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში რეგისტრირებული 11882 სუბიექტიდან აქტიური იყო 3567 (30%). საყურადღებოა, რომ ქვეყანაში 516386 სუბიექტის საქმიანობა უცნობია.

სოფლად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება უკიდურესად ჩამორჩა. შრომის ბაზარზე კვალიფიციურ შრომაზე მოთხოვნა დაბალია. აგრარული სექტორისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების ერთიანი სისტემა შექმნილიც არ არის. ადრე არსებული სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გასხვისდა, პედაგოგთა კადრები გაიფანტა, ერთ ლარად გასხვისებული საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აქტიურად არ მონაწილეობს კვალიფიციური კადრების მომზადებაში. კვალიფიციური კადრების დიდი დეფიციტი ყოველმხრივ აფერხებს განვითარებას. ურბანული პროცესების დაჩქარების ფონზე სოფლები დაცარიელდა. დედაქალაქში ან საზღვარგარეთაა წასული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. პარადოქსული სიტუაცია იქმნება: იზრდება მოთხოვნა ფიზიკურ შრომაზე (პრიმიტიული ინვენტარით), ისიც ფიზიკური პირების (წვრილი საოჯახო მეურნეობების მხრივ). კვალიფიციური კადრების დიდი დეფიციტი აფერხებს სოფლად საწარმოო ძალების განვითარებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას. მატერიალური და სოციალური სფეროს კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის პროცესი ქვეყანაში სათანადოდ რეგულირებულიც არ არის.

ამრიგად **შრომა,** როგორც წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი **(„სიმდიდრის მამა“),** აქტიურად ხელს არ უწყობს მიწის, როგორც ინტეგრირებული სისტემის რაციონალურ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

როგორ გამოიყენება წარმოების ფაქტორი – კაპიტალი? საბაზრო პრინციპებზე გარდამავალ პერიოდში გაჩანაგდა აგრარული მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სამრეწველო საწარმოებმა, მომსახურების ობიექტებმა, მეცხოველეობის კომპლექსებმა და სხვა მსხვილმა ობიექტებმა ფუნქციონირება შეწყვიტეს, მათი საწარმოო ძირითადი ფონდის დიდი ნაწილი საზღვარგარეთ ჯართის სახით გაიყიდა. სოფლად მექანიზაციის საშუალებები, სარწყავი ფართობები კატასტროფულად შემცირდა. 2024 წელს სარწყავმა ფართობებმა შეადგინა 165 ათასი ჰექტარი, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს 435 ათას ჰექტარს აღემატებოდა.

მეწარმეობრივი უნარი ხელს უწყობს წარმოების ისეთ ორგანიზაციას, რომელიც სხვა ფაქტორებთან კომბინირებით უზრუნველყოფს მაქსიმალური შემოსავლების მიღებას. ანალიზით დასტურდება, რომ მეწარმეობრივი უნარის, როგორც ფაქტორის, გამოყენების დონე დაბალია. იგი მხოლოდ კვალიფიციური კადრების დეფიციტით არ არის გამოწვეული - კომპლექსური პრობლემაა, რომლის გადაწყვეტა მხოლოდ წარმოების სხვა ფაქტორებთან ინტეგრირებით არის შესაძლებელი. ეს რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია, რომლის რეგულირება, ფაქტობრივად, უნდა განისაზღვროს ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის საფუძველზე ჩამოყალიბებული მიზნობრივი პროგრამებით. ქვეყანაში დარგობრივი სტრატეგიების ჩამოყალიბების გარკვეული გამოცდილება არსებობს. სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი დეკლარირებული ხასიათისაა და ზოგად სტრატეგიულ ხედვებს ეფუძნება. მაგალითად, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიაში აგრარული სექტორის ფუნქციონირების საწყისი რესურსის – მიწის

ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებებიც დასახული არ არის. მეწარმეობრივი უნარის, როგორც ფაქტორის, არაეფექტიანად გამოყენების მაგალითია თუნდაც ის, რომ წლების განმავლობაში მკვეთრად შემცირდა დამუშავებული მიწის ფართობები, შესაბამისად, სტრატეგიული პროდუქტების (მარცვალი, მეცხოველეობის პროდუქცია, ცხიმები, შაქარი და სხვ.) წარმოება. ქვეყანაში 1990-2024 წლებში ნათესი ფართობები შემცირდა 700 ათასი ჰექტრიდან 191,5 ათას ჰექტრამდე. მოუგვარებელია თესლის წარმოების, სანაშენო საქმის, მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის და სხვა საკითხები, რომლებიც აფერხებენ განვითარებას. ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებანი არ ხორციელდება.

ინტეგრირებული ცოდნა (ახალი ცოდნა, ინფორმაცია, ინოვაცია, თანამედროვე ეკონომიკის სისტემაში) განიხილება, როგორც წარმოების (განვითარების) ფაქტორი. **ინტეგრირებულ ცოდნას** წარმოების სხვა ფაქტორების ფუნქციების შესრულებაშიც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურება ისაა, რომ პროდუქტიული პირუტყვი, ასევე მრავალწლიანი ნარგავები განეკუთვნება საწარმოო ძირითად ფონდებს. ისინი წარმოადგენენ წარმოების ბიოლოგიურ საშუალებებს, ხოლო წარმოების პროცესი თანდათანობით გადადის მანქანური წარმოების სტადიებზე. ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია საწარმოო ფონდების (კაპიტალის) რაციონალური გამოყენება.

ინტეგრირებული ცოდნის აუცილებლობას განაპირობებს ის ნიუანსი, რომელიც განსხვავებულ ინტერესების შეჯერების წერტილზე აღმოცენდება როგორც წინააღმდეგობრივი პროცესის საწყისი, რომლის რეგულირებისათვის საწარმოო პროცესების მაღალი დონის ორგანიზაცია, განვითარების ყველა დონეზე (მეგა, მაკრო, მეზო, მიკრო) ინტეგრირების შესაბამისი ფორმების განსაზღვრაა საჭირო. მომავალში საქართველოში ინტეგრირებული ცოდნის როლი უფრო გაძლიერდება და მრავალმხრივი გახდება ევრაზიის, როგორც გეოეკონომიკური სივრცის განვითარება-გაფართოების წინააღმდეგობრივი პროცესის რეგულირებაში.

ეკონომიკაში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში არსებული ინტელექტუალური პოტენციალი (ცენტრალური ბირთვი – მეცნიერება) არარაციონალურად და არაეფექტიანად გამოიყენება. მთავარი მიზეზი ისაა, რომ განვლილ პერიოდში ვერ მოხერხდა დროის გამოწვევებთან ადეკვატური განათლებისა და მეცნიერების ეფექტიანი სისტემის შექმნა. უფრო მეტიც, ქვეყანაში მეცნიერების ადრე არსებული სამივე ფორმა – აკადემიური, დარგობრივი და უმაღლესი სკოლა ორგანიზაციულად უფრო დასუსტდა და ეკონომიკის გარდაქმნების პროცესში მოკრძალებული ადგილი უკავია.

მაგალითად, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ფუნქციონირებდა 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 6 სამეცნიერო ცენტრი, 3 საცდელი სადგური. დასაქმებული იყო 1007 მეცნიერი თანამშრომელი, მათ შორის 33 (3,7%) მეცნიერებათა დოქტორი, 516 მეცნიერებათა კანდიდატი (51,2%), 100-მდე ასპირანტი. 2010 წელს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები სათანადო ანალიზის და პროგნოზრების (არგუმენტაციის) გარეშე გადაეცა შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებს. მათი ქონების დიდ ნაწილი გასხვისდა.

მეცნიერული კვლევები ძირითადი მიმართულებების მიხედვით შეჩერდა. სამეცნიერო კადრების მომზადების არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს ნიჭიერი ახალგაზრდობის დაინტერესებას სამეცნიერო საქმიანობით. ასეთმა „რეორგანიზაციამ“ გამოიწვია ის, რომ თესლის წარმოება, სანაშენო საქმე, მცენარეთა დაცვის ორგანიზაცია მოიშალა, შეწყდა მიწის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებათა განხორციელება, კვლევის მიღმა დარჩა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების, პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის, სახელმწიფო პროტექციონიზმის ეფექტიანად გამოყენების, საკუთრებითი ურთიერთობების, ტერიტორიების მდგრადი განვითარების საკითხები.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის (ზღუდავს) მიწის რესურსების რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებას ინტეგრირებული ცოდნის აღწარმოების სუსტი ორგანიზაციული საფუძველია. აგრარული სფერო, სადაც ნიადაგის განსხვავებული ტიპები და ერთდროულად ორი ობიექტური კანონის (ბუნებრივ-ბიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური) მოქმედება განსაზღვრავს სპეციალიზაციის მრავალფეროვნებას და მოითხოვს სხვა ფაქტორების ოპტიმალურ გამოყენებას, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება – ექსტრემალურ პირობებში (ჩვენს შემთხვევაში **საბაზრო პრინციპებზე გარდამავალ პერიოდში), თავად ფორმირებად სახელმწიფოს უნდა შეესრულებინა ახალი, წინამორბედისაგან თვისებრივად განსხვავებული ეკონომიკური სისტემის შემქნელი პოლიტიკური სუბიექტის როლი. ამისათვის საჭირო იყო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, საერთოდ ინსტიტუციური გარდაქმნები, მორალურ-ზნეობრივი საფუძვლების მომზადება. სახელმწიფო, საზოგადოება, მეცნიერება მზად არ აღმოჩნდა ამ ამოცანის შესრულებისათვის. აღნიშნული ფუნქციები მიითვისა ე.წ. უხილავმა ხელმა (ლიბერალიზაციამ) იმ იმედით, რომ თითქოს ყოვლისშემძლე ბაზარი ყველაფერს თითონ მოაგვარებდა.**

სახელმწიფომ, როგორც პოლიტიკურმა სუბიექტმა და ეროვნული სიმდიდრის, მათ შორის წარმოების ძირითადი საშუალებების იმდროისთვის 100%-ით მესაკუთრემ, სწორად ვერ გააცნობიერა ქვეყნის ეკონომიკის ახალ თვისებრიობაში გადასვლის სასტარტო გარემო და არსებული პოტენციალი. სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სტიქიურად დაშლა განახორციელდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის გარეშე (იმის იმედით, რომ საბაზრო მექანიზმები თავად უზრუნველყოფდნენ თვითგანვითარების რეჟიმში გადასვლას). სახელმწიფომ საკუთარი ფუნქციები დაუთმო კრიმინალურ ჯგუფებს, რომლებიც დემოკრატიისა და ეროვნული იდენტობის

ლოზუნგებით გამოდიოდნენ. ეკონომიკური გარდაქმნების სპონტანურად ჩამოყალიბებული პროცესი აღმოჩნდა ბაზრის კრიმინალურ-მაფიოზური რეგულირების სტადიაში. სწორედ აქედან გამომდინარეობს დანარჩენი შეცდომებიც (ვრცლად ქვემოთ იქნება განხილული).

ამრიგად, გარდაქმნების პერიოდში დაშვებულ შეცდომებს შორის უმთავრესი (განმსაზღვრელი) იყო ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორის როლის უგულებელყოფა. **მკაცრი შედეგიც დადგა – სახელმწიფო საზოგადოებრივი პროგრესის შემაფერხებელ ფაქტორად იქცა.**

დღეს არავის დარწმუნება არ დაგვჭირდება იმაში, რომ ძლიერი ეკონომიკის გარეშე პოლიტიკური თავისუფლება და დემოკრატია ფიქციაა. ეფექტიანი ეკონომიკაა სახელმწიფოს სიძლიერის საფუძველი. ეფექტიანობა კი ვერ მიიღწევა ძლიერი სახელმწიფოს გარეშე. სახელმწიფო კი ძლიერია მაშინ, როცა იგი თავის მოღვაწეობას აფუძნებს თანამედროვე მეცნიერულ აზროვნებაზე. ამიტომ მათი ურთიერთგანპირობებულობის მაღალი ხარისხი მუდამ უნდა იყოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ობიექტი.

ტრანსფორმაციის პროცესში არ იქნა გათვალისწინებული ის, რომ წარმოების ძირითადი ფაქტორების როლი ქვეყნის განვითარების ეტაპების თავისებურებებისა და ტენდენციების გავლენით იცვლება. აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთ ცალკე აღებულ ფაქტორს არ შეუძლია უზრუნველყოს სისტემის დაბალანსებული განვითარება. ამიტომ აუცილებელია მათი ოპტიმალური კომბინაცია და პროცესის კოორდინაცია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფაქტორებს შორის წინააღმდეგობებიც წარმოიქმნება. ასეთ დროს მოსალოდნელი რისკების პროგნოზირება, ტენდენციების სწორად გაცნობიერება და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში საჭირო დროით სახელმწიფოს ჩართვაა საჭირო. სწორედ ამაშია, სახელმწიფოს და მეცნიერების, როგორც განვითარების ფაქტორის დანიშნულება.

იმისათვის, რომ უფრო სიღრმისეულად წარმოვიდგინოთ მიწის რესურსული პოტენციალის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამოცანის განხორციელების მასშტაბები, გაქანება, მეცნიერული უზრუნველყოფა, მიზანშეწონილია მიწა (სამივე განზომილებაში) განვიხილოთ უფრო მაღალი დონის ინტეგრირებულ სისტემაში.

სქემაზე წარმოდგენილი სუბიექტები დამკვიდრებული ტრადიციებითა და გამოცდილებით უშუალო გავლენას ახდენენ ქვეყნის ბუნებრივი რესურსების (პირველ რიგში მიწის რესურსების) გამოყენებასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, თუმცა ცალ-ცალკე მოქმედებენ. მათი საქმიანობა ვიწრო მიზნობრივი (უწყებრივი) პოზიციებიდან წარიმართება და ქვეყნის ერთობლივ სტრატეგიულ ამოცანებზე ორიენტირებულებიც არ არიან. ეს გარემოებაც იყო (არის) სახელისუფლებო, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, ზნეობრივი კრიზისების სპონტანურად წარმოქმნის, გახანგრძლივების და გაღრმავების ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზეზი.

სქემაზე წარმოდგენილი სუბიექტების საქმიანობის ანალიზით დასტურდება, რომ **სახელმწიფომ და მეცნიერებამ** (სხვა სუბიექტების მონაწილეობით და მხარდაჭერით) უნდა უზრუნველყონ ქვეყნის განვითარების ეტაპების თავისებურებების, ტენდენციების გათვალისწინებით სტრატეგიის განსაზღვრა და მისი განხორციელების პროცესის წარმმართველი ლიდერის ფუნქციის შესრულება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოხერხდება ქვეყნის განვითარების უმთავრესი ფაქტორების მიზანმიმართულად, თანმიმდევრულად და კომპლექსურად ამოქმედება.

რატომ სახელმწიფომ? რატომ მეცნიერებამ?

ჯერ კიდევ 2012 წელს ვწერდი: „მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია ქვეყნის განვითარების დაგროვილი გამოცდილება, ერთი მხრივ, მოსახლეობის ცოდნის არსებული პოტენციალი, მეორე მხრივ, მოსახლეობის სოციალური ენერგია, ქვეყნის აღმშენებლობის უმთავრეს ფაქტორად აქციოს. ამისათვის საჭიროა ქვეყნის განვითარების დღევანდელი მდგომარეობის სწორი

სქემა 4. მიწა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთავარი სუბიექტების ინტეგრირებულ სისტემაში



წყარო: *შედგენილია ავტორის მიერ*

სქემა 5. მიწის რესურსების გამოყენებაში დაშვებული შეცდომები, როგორც ინტეგრირებული სისტემა



წყარო: *შედგენილია ავტორის მიერ*

ანალიზი და პროგნოზირება, სტრატეგიის განსაზღვრა, სახელმწიფოს მშენებლობის ისტორიული გამოცდილებისა და ახალგაზრდული ენერგიის **(მემკვიდრეობის უწყვეტობის პრინციპი)** ერთდროულად და თანმიმდევრულად ამოქმედება. მათი ჩართვა განვითარების ერთიან პროცესში. ქვეყნის აღმშენებლობის პროცესი სახელმწიფო სტრატეგიით და ხელისუფლების ლიდერობით უნდა წარიმართოს".

„ქვეყნის განვითარების ყოვლის მომცველი ანალიზი, პროგნოზირება, სტრატეგიის განსაზღვრა უნდა მოხდეს მეცნიერების თანამედროვე მიღწევების საფუძველზე. სწორედ მეცნიერული (ინტეგრირებული) ცოდნით განისაზღვრება განვითარების მრავალი ვარიანტიდან ოპტიმალური. მეცნიერება უნდა ასწრებდეს პრაქტიკის (გამოცდილების) განზოგადებას და შესაბამისი ცვლილებები უნდა შეჰქონდეს შემუშავებულ სტრატეგიაში. ესაა მეცნიერების, როგორც უშუალო საწარმოო ძალის ფუნქცია, როცა თანამედროვე პირობებში სახელმწიფოსთან ერთად სწორად აცნობიერებს საკუთარ ექსკლუზიურ როლსა და ადგილს საზოგადოებრივ ურთიერთობების განვითარებაში".

სახელმწიფო და მეცნიერება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ტრანსფორმაციის მრავალმხრივი წინააღმდეგობებით გაჯერებული პროცესის ლიდერის ფუნქციას უნდა ასრულებდეს. თუ როგორ? განათლებისა და მეცნიერების გათვალისწინებული რეფორმის პროცესში უნდა იყოს განხილული.

ჰოლისტიკური მიდგომის საფუძველზე ასევე გაანალიზებულია საბაზრო ურთიერთობებზე ეროვნული ეკონომიკის გადასვლის წინააღმდეგობრივ პროცესში დაშვებული შეცდომები (სქემა 5).

სამწუხაროდ, უნებლიე თუ შეგნებულმა შეცდომებმა, უცოდინარობამ და გამოუცდელობამ, რომელიც უდავოდ ახლდა, ეკონომიკის ტრანსფორმაციას, გაახანგრძლივა იგი. ამასთან პროცესი მეტად მტკივნეული აღმოჩნდა. ამას ადასტურებს 90-იანი წლების დასაწყისში (1994 წელი) ეკონომიკის დაცემის დაფიქსირებული შემდეგი მონაცემები: 1994 წელს 1988 წლის მიმართ მშპ შეადგინა 27,8%, სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ – 15%, სასოფლო-სამეურნეო წარმოებამ – 49%, ინვესტიციებმა – 2,8%, ტვირთბრუნვამ (რკინიგზა) – 33,4%. შედარებისათვის, 1994 წელს წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობა პირველად მიღწეული იყო 1954 წელს **(40 წლის წინათ),** სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა – 1945 წელს **(49 წლის წინათ),** კაპიტალური დაბანდებების მოცულობა – 1959 წელს **(35 წლის წინათ)**, ტვირთბრუნვა (რკინიგზის ტრანსპორტით) – 1940 წელს **(54 წლის წინათ)**. ასეთ პირობებში მკვეთრად დაეცა მოსახლეობის ცხოვრების დონე. 1995 წელს ხორცის მოხმარებამ მოსახლეობის ერთ სულზე შეადგინა 12,1 კგ, რძის პროდუქტების – 97,9 კგ, თევზეულის – 0,56 კგ, მცენარეული ზეთის – 3,27 კგ. ეს განაპირობა იმან, რომ სოციალისტური მეურნეობრიობის სისტემიდან საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის თავისებურებები სწორად არ იყო გაცნობიერებული. გარდაქმნები, განსაკუთრებით მიწის რეფორმა, შესაბამისი სამართლებრივი ბაზის გარეშე განხორციელდა. მიწის რესურსების დატაცების მასობრივმა შემთხვევებმა მიწის ფართობების დაქუცმაცების პროცესი დააჩქარა. ორგანიზაციულ-მმართველობითმა სისტემამ ვერ უზრუნველყო მიწის რესურსების მართვის სწორად ორგანიზება, ვერ მოხერხდა ეფექტიანი ეკონომიკური მექანიზმის ჩამოყალიბება.

სტრატეგიული და ტაქტიკური შეცდომების მაღალ ხარისხს მიეკუთვნება ის, რომ **„შოკური თერაპია",** როგორც ეკონომიკური დოქტრინა, გამოიყენეს სოციალისტური ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო პრინციპებზე გადასვლის სტრატეგიად. ფაქტობრივად, ამით ორიენტაცია აიღეს კაპიტალიზმის იმ მოდელზე, რომელიც ცნობილია როგორც **„ველური კაპიტალიზმი".** გარდაქმნების შედეგებმა დაადასტურა, რომ აღნიშნული მოდელის გამოყენება შეცდომა იყო.

ამრიგად, გარდაქმნების სტრატეგია სპონტანურად შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გავლენით ჩამოყალიბდა და ქვეყნის ბუნებრივ-საწარმოო და შრომითი ტრადიციების, თავისებურებების გაუთვალისწინებლად წარიმართა. ეკონომიკის გარდაქმნების სტრატეგიას კომპლექსური, თანმიმდევრული ხასიათი, ერთიანი

მეთოდოლოგია არ ჰქონდა. უფრო მეტიც, მეთოდურად მკვიდრდებოდა აზრი, რომ ქვეყანაში სახელმწიფო ტრანსფორმაციის პროცესში აქტიურად არ უნდა ჩარეულიყო. ასეთი „მიდგომით" გზა გაეხსნა განუკითხაობას, კერძო ინტერესების უკონტროლო თარეშს. ეკონომიკური პროცესების რეგულირების ფორმა (მექანიზმი) არასწორად აღიქვეს და გამოიყენეს. ფაქტობრივად. სახელმწიფო გვერდზე გადგა. ეკონომიკური გარდაქმნები სტიქიურად განვითარდა. პრაქტიკამ ცხადყო, **რომ როდესაც ეკონომიკის გარდაქმნებში სახელმწიფო ძირითად ფუნქციას ვერ ასრულებს, იგი ქვეყნის განვითარებას აფერხებს.**

მიწა – მეურნეობრიობის (სამართლებრივი ურთიერთობების) ობიექტი

საერთო აღიარებით უძრავ ქონებას წარმომავლობის მიხედვით მიეკუთვნება მიწის ნაკვეთები, წიაღისეულის ნაკვეთები და ყველაფერი, რაც მყარად დაკავშირებულია მიწასთან. საადგილმამულო სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტს წარმოადგენს კონკრეტული მიწის ნაკვეთი.

კანონმდებლობის მიხედვით მიწა განსაკუთრებული ობიექტია. ამიტომაა, რომ მიწის სამართალი ითვალისწინებს სამართლებრივი ნორმების სისტემას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მიწის რესურსული პოტენციალის რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება.

მიწა, როგორც მატერიალური სამყაროს ელემენტი ასრულებს საკუთრების ობიექტის ფუნქციას და ამ პროცესში მასზე გარკვეული ნორმების ზემოქმედება ხდება (ეს რეგულირებადი პროცესია). მიწის ეს თავისებურება, როგორც ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში დადასტურდა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

ამასთან, მიწა როგორც სახელმწიფო სუვერენიტეტის გამომხატველი ფორმა (სახელმწიფო საზღვარს – პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტატუსი აქვს), ასრულებს პოლიტიკურ ფუნქციას.

მიწა, როგორც სპეციფიკური საქონელი, საზოგადოებრივი ურთიერთობების ობიექტია, მონაწილეობს ყიდვა-გაყიდვაში და გამოირჩევა ღირებულებითი მახასიათებლებით, კერძოდ, მიწის გადასახადი, საიჯარო ქირა, ნორმატიული, საბაზრო, საგირაო ფასები და სხვ. მიწის ფართობი გადატანას არ ექვემდებარება (ეს არ ეხება ნიადაგობრივ ნაწილს (ნიადაგის საფარს ხსნიან, როცა მშენებლობა იწყება, შემდეგ რეკულტივაციისათვის იყენებენ). ამ თვალსაზრისით პრეცენდენტი დაფიქსირდა საქართველოში. მხედველობაში გვაქვს არა ერთი შემთხვევა, როცა ნიადაგის (ფენის) მოჭრა ხდებოდა საზღვარგარეთ მისი გატანის მიზნით.

მიწის, როგორც ტერიტორიული (სივრცობრივი) ბაზისის ფუნქცია განისაზღვრება იმით, რომ მიწაზეა განლაგებული საცხოვრებელი შენობები, სამრეწველო, სატრანსპორტო ნაგებობები, სოციალური სფეროს ობიექტები და სხვა. ამ სივრცეში წყდება მოსახლეობის აღწარმოების, საწარმოო ძალების განვითარების და სხვ. პრობლემები. ამიტომ, სახელმწიფო პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური მექანიზმებით (რომლებიც სამართლებრივ ბაზაზეა დაფუძნებული) არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობების უაღრესად რთულ პროცესს, რომელიც მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, პოლიტიკურ და სხვა სფეროებს. ამ მიზნით სახელმწიფო აწესებს (ადგენს) მარეგულირებელ წესებს, სამართლებრივ ბაზაზე ჩამოყალიბებული მექანიზმებით უზრუნველყოფს განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ მიწის რესურსების არაეფექტიანი გამოყენება მნიშვნელოვანწილად განაპირობა საზოგადოების ეიფორიულმა მდგომარეობამ. ლოზუნგები „მზად ვართ ბალახით ვიკვებოთ", „ბორჯომის წყალი გადაგვარჩენს", „სახელმწიფო არ ჩაერიოს ეკონომიკაში", „ბაზარი ყოვლის შემძლეა, იგი თვითონ უზრუნველყოფს კეთილდღეობას", „საკმარისია ქართველ გლეხს მიწა მიეცეს, რომ ქვეყანა გამდიდრდეს", მაშინ ქვეყნის განვითარების მიმართულებებს განსაზღვრავდა. საბედისწერო როლი შეასრულა საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებამ შავი ლითონის ჯართისა და ხე-ტყის ექსპორტის თაობაზე. გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე საზოგადოებრივი აზროვნება კრიმინალური ცნობიერებით წარიმართა. პოლიტიკაში ქუჩის ელემენტი გაძლიერდა. ქალაქის უბნების (რეგიონების) პოლიტიკურმა ფენომენმა მონაცვლეობით დომინირებადი ადგილი დაიმკვიდრა და ფართო გზა მისცა ქვეყნის დოვლათის მიტაცების ახალი ტიპის ინტერესების ჩამოყალიბებას. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა.

„ახალი აზროვნებით" მოსულმა უმრავლესობამ მთავარი ამოცანა შეასრულა – სოციალისტურად აღიარებული ეროვნული ეკონომიკა „ნულოვან საძირკველამდე" დაანგრია. ქვეყანა გაიძარცვა, გაუარესდა ბუნებრივი რესურსების გამოყენება. ამის მაგალითია, თუნდაც მიწის რესურსების გამოყენების დაბალი დონე.

ქვეყანაში მიწის რეფორმები (პრივატიზაცია) დაიწყო 1992 წლის 18 იანვარს დროებითი მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებით. „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ". დადგენილება ითვალისწინებდა საბჭოთა პერიოდში მოსახლეობისათვის უვადო სარგებლობაში გადაცემული საკარმიდამო ნაკვეთების ერთ ჰექტრამდე შევსებას (იმ დროისათვის, იგი საშუალოდ შეადგენდა 0,26 ჰექტარს, შემდგომში კი (სათანადო სამართლებრივი ბაზის შექმნით) კერძო საკუთრებაში მათ გადაცემას. თუმცა ორ კვირაში დადგენილებაში რადიკალური ცვლილებები შევიდა და ურთულესი პროცესი ფაქტობრივად სტიქიურად წარიმართა.

ამრიგად, საქართველოში საბჭოთა კავშირის ერთიანი სამეურნეო კომპლექსის რღვევის პროცესი სპონტანურად ჩამოყალიბებულ სიტუაციაში, შესაბამისი კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური და სამართლებრივი ბაზის გარეშე დაიწყო და ეთნოკრიზისების ფონზე სტიქიურად განვითარდა. მიწების პრივატიზაცია მოუმზადებლად ჩატარდა, რამაც ნეგატიური მოვლენები გამოიწვია. მსხვილი საწარმოები წვრილ ოჯახურ მეურნეობებად გარდაიქმნა, კაპიტალი განიავდა, წარმოების მექანიზაციის დონე მკვეთრად დაეცა. მიწის მართვის

ფუნქციები სხვადასხვა სამინისტროებზე გადანაწილდა. შეწყდა მიწის ბალანსის წარმოებაც.

მიწის რეფორმების ლოგიკა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციები

1990 წლის მიწის ფონდის მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში 1. იმ დროისათვის სულ მიწების ფართობი შეადგენდა 7272,3 ათას ჰექტარს. მათ შორის 323,3 ათასი ჰექტარი დროებით სარგებლობაში რუსეთის ფედერაციის დაღესტნის ტერიტორიიდან გადაცემული სავარგულები იყო. იმ ტერიტორიაზე იზამთრებდა თიანეთის, დუშეთის, ყაზბეგის, ახალგორისა და ჯავის საზოგადოებრივი მეურნეობებისა და მოსახლეობის ცხვარი, საშუალოდ 1 მლნ სულზე მეტი. მეცხვარეობა დასახელებული რეგიონების მოსახლეობის შემოსავლების მთავარი წყარო იყო. აღნიშნული ფართობი საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მესაკუთრეს დაუბრუნდა.

1990 წელს ქვეყნის საზღვრებში იყო სასოფლო-სამეურნეო სავარგული – 2782,2 ათასი ჰა. მათ შორის: სახნავი – 694,2 ათასი ჰა, მრავალწლიანი ნარგავები – 239 ათასი ჰა, სათიბი – 156 ათასი ჰა, საძოვარი – 1686,3 ათასი ჰა, საკარმიდამო მიწები – 202,4 ათასი ჰა.

მე-2 ცხრილიდან ჩანს, რომ მიწაზე კერძო საკუთრებამ შეადგინა – 948,9 ათასი ჰექტარი (12,4%), სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა – 6679,5 ათასი (87,6%). სულ მიწის ფონდმა შეადგინა **7628,4** ათასი ჰა. ასეთი ზრდა განაპირობა იმან, რომ 2002 წელს 678,5 ათასი ჰა ტერიტორიული წყლების ფართობი მთავრობის დადგენილებით მიეკუთვნა მიწის ფონდს. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებმა **შეადგინა 3025,8 ათასი ჰა, სახნავმა – 801,8 ათასი ჰა, მრავალწლიანმა ნარგავებმა – 264,3 ათასი, სათიბმა – 143,8 ათასი, საძოვრებმა – 1796,6 ათასი ჰა.**

აღსანიშნავია, რომ 2004 წლის აღწერით ერთ ჰექტრამდე მიწის ფართობი ჰქონდა მეურნეობათა 74,5%, 1-დან 5 ჰექტრამდე – 23,2%, 5-დან 10-მდე – 0,9%-ს. მეურნეობების საშუალო ფართობი – **1,22** ჰექტარი, ნაკვეთების საშუალო რაოდენობა – 2,33. ერთი ნაკვეთის საშუალო ზომა – 0,52 ჰა. პრივატიზაციამ მიწის ნაკვეთების დაქუცმაცება გამოიწვია. მაგალითად, მეურნეობების **33,9%**-ს ჰქონდა ერთ ნაკვეთიანი ფართობი, 48,8-ს 2 ან 3 ნაკვეთიანი, 13%-ს 4 ან 5 ნაკვეთიანი, 4%-ს 6-დან 9 ნაკვეთამდე, 0,4%-ს 10 ან მეტი ნაკვეთი.

2014 წლის აღწერით საშუალოდ ერთ მეურნეობაზე მოდიოდა 0,4 ჰა მრავალწლიანი ნარგავი. მეურნეობების 94%-ს ერთ ჰექტრამდე მიწის ფართობი ჰქონდა, 4,9%-ს 1-დან 2 ჰექტრამდე, 1,2%-ს 2-დან 5 ჰექტრამდე, 0,15%-ს 5-10 ჰექტრამდე, 200-დან 500 ჰექტრამდე 13 მეურნეობას ჰქონდა.

რაც შეეხება უახლოესი წლების მონაცემებს (იხ. ცხრ. 3), ინფორმაცია მათ შესახებ არ მოიპოვება. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მიწის სახელმწიფო ფონდში მომხდარი თვისებრივი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. მიწის ბალანსის წარმოება 2005 წლის შემდეგ არ განახლებულა. მიწის ბალანსი ის ორიენტირია, რომელიც ხელისუფლებას, საზოგადოებას, მეცნიერებას უჩვენებს როდის და როგორი ცვლილებები სჭირდება ქვეყნის განვითარების ინტეგრირებულ პროცესს.

ცხრილი 4 და 5 გვიჩვენებს, თუ როგორი ცვლილებები განიცადა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესმა და მრავალწლიანი ნარგავების ფართობებმა. 6, 7 და 8 ცხრილებიდან ჩანს, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები მკვეთრად შემცირდა. ასევე შემცირდა პირუტყვის, ფრინველის სულადობა, ფუტკრის ოჯახების რაოდენობა.

ზემოთ წარმოდგენილი ცხრილების ანალიზიდან გამომდინარეობს დასკვნა. საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ ეტაპზე, სადაც ცენტრალური იყო მიწის პრივატიზაცია, სახელმწიფომ ხელიდან გაუშვა მიწის რესურსული პოტენციალის სტრატეგიული მართვის მექანიზმის ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა. პროცესების თვითდინებაზე მიშვებამ გამოიწვია მიწის დეგრადაციის ტემპების ზრდა, ნაყოფიერების მკვეთრი დაცემა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის დონის შემცირება, საერთოდ, აგრარული სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაჩანაგება, მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი გარემოს მოშლა. საზოგადოებამაც ვერ გააცნობიერა, რომ ფართო გაგებით მიწა საზოგადოების სიცოცხლის უნარიანობის ყველა პროცესის ძირითადი (ამოსავალი) ბაზისია. მეცნიერება ფაქტობრივად მოწყდა მიწის რეფორმების მიმდინარეობისას ახლად წარმოქმნილი პრობლემების კვლევის პროცესს, შრომისადმი მიწის მესაკუთრეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამპარტავნულ დამოკიდებულებას ავლენს, საკუთარი მიწის ფართობსაც არ ამუშავებს.

შექმნილი მდგომარეობის თვისებრივად შეცვლისათვის ჩვენს მიერ მომზადდა დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც თან ერთვის.

მიწის რესურსული პოტენციალის გამოყენების, დაცვისა და აღწარმოების პროცესების მართვის (რეგულირების) სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

1. საქართველოში მიწის რესურსების (სახელმწიფო ფონდის) რაციონალურად გამოყენების ამოცანის სტრატეგიული, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა

– მიწას, ბუნებრივ (უნივერსალურ) რესურსს, წარმოების ფაქტორს, მეურნეობრიობის ობიექტს, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივაც სათანადო ყურადღება არ მიექცა. სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუმუშავებელია. ამასთან, ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების საჭირო (კომპლექსური) ღონისძიებანი არ ხორციელდება, მიწის (ნიადაგის) გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო მონიტორინგს და კონტროლს სისტემური ხასიათი არა აქვს. მიწის ფართობების აღრიცხვა მოუწესრიგებელია,

ცხრილი 1. საქართველოს სახელმწიფო მიწის ფონდის განაწილება კატეგორიებისა და სავარგულების მიხედვით

მიწათმფლობელების, მიწათმოსარგებლეთა და მიწების კატეგორიების სახელწოდებები	საქართველოს მიწის ფონდის განაწილება სავარგულების მიხედვით, ათასი ჰა %, 1990 წლის 1 ნოემბრისათვის								
	საერთო ფართობი	სახნავი	მრავალწლიანი ნარგავები	ნასვენი	დამუშავებული მიწები	სათიბი	საძოვარი	სულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები	მიწები არასამელიორაციო სტადიაში
სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და საოჯახო მეურნეობების დროებით სარგებლობაში არსებული მიწები	4595 100	687,1 14,95	234,2 5,1	6,0 0,13	927,3 20,17	147,0 3,2	1905,3 41,46	2979,6 64,83	10,70 0,23
სატყეო მეურნეობების საწარმოები	2365,0 100	3,30 0,14	3,70 0,16		7,0 0,30	7,6 0,32	30,50 1,29	45,1 1,90	
მრეწველობის, ტრანსპორტის, თავდაცვის, კავშირგაბმულობისა და სხვ. დანიშნ.მიწები	98,0 100	3,80 3,88	0,30 0,31		4,10 4,18	1,80 1,84	13,60 13,88	19,50 19,90	
საწარმოების, ორგანიზაციების და ბუნებისდაცვითი, რეკრეაციული, ისტორიულ-კულტურული დანიშნულ-ების დაწესებულებების მიწები	1,4 100								
დასახლებული პუნქტების მიწები	78 100	0,30 0,38	1,10 1,41		1,40 1,79		0,50 0,64	1,90 2,44	
ჰიდროტექნიკური და წყალსამეურნეო ნაგებობებით დაკავებული მიწები	99,4 100					0,20 0,20	0,60 0,60	0,80 0,80	
სახელმწიფო მარაგის მიწები	34,8 100						33,20 96,40	33,20 95,40	
სულ მიწები	**7272,3 100**	**694,5 9,55**	**239,3 3,28**	**6,0 0,08**	**939,8 12,92**	**156,6 2,15**	**1983,7 27,28**	**3080,1 42,35**	**10,7 0,15**
მათ შორის მიწები, რომლებიც გამოი-ყენება ქვეყნის ადმინისტრაციული საზღვრების გარეთ	-323,3 100					-0,5 -0,15	-297,5 -92,0	-298,0 -92,17	
მიწები, რომლებიც გამოიყენება სხვა რესპუბლიკების მიწათმფლობელებისა და მიწათმოსარგებლეთა მიერ	+0,4 100						+0,10 25	+0,10 25	
სულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მიწები	**6949,4 100**	**694,5 9,99**	**239,3 3,44**	**6,0 0,09**	**939,8 13,52**	**156,1 2,25**	**1686,3 24,27**	**2782,2 40,04**	**10,7 0,15**

წყარო: ნაკაიძე ე. საქართველოს მიწის რესურსები და მათი რაციონალურად გამოყენების პრობლემები (რუს). თბ., „მეცნიერება“, 1997, გვ.36-37

ცხრილი 1ა. საქართველოს სახელმწიფო მიწის ფონდის განაწილება კატეგორიებისა და სავარგულების მიხედვით

მიწათმფლობელების, მიწათმოსარგებლეთა და მიწების კატეგორიების სახელწოდებები	საქართველოს მიწის ფონდის განაწილება სავარგულების მიხედვით, ათასი ჰა %, 1990 წლის 1 ნოემბრისათვის									
	საკარმიდამო ნაკვეთები	დაზიანებული მიწები	ტყე	ბუჩქნარი	ჭაობები	წყლით დაფარული მიწები	გზებით დაფარული მიწები	მიწები შენობა-ნაგებობებით და ეზოებით	მუშა-მოსამსახურეთა კოლექ. ბაღები და ბაღჩები	სხვა მიწები
სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და საოჯახო მეურნეობების დროებით სარგებლობაში არსებული მიწები	196,3 4,27	3,0 0,06	588,1 12,80	176,8 3,85	6,1 0,13	51,3 1,12	77,6 1,70	51,7 1,12		454,5 9,89
სატყეო მეურნეობების საწარმოები	0,10 0,00		2249,4 95,11		2,1 0,09	4,1 0,17	2,0 0,08			62,2 2,63
მრეწველობის, ტრანსპორტის, თავდაცვის, კავშირგაბმულობისა და სხვ. დანიშნ.მიწები	0,10 0,10		4,4 4,5	2,5 2,55		7,4 7,55	18,2 18,57	23,1 23,57	9,0 9,18	13,8 14,08
საწარმოების, ორგანიზაციების და ბუნებისდაცვითი, რეკრეაციული, ისტორიულ-კულტურული დანიშნულების დაწესებულებების მიწები										1,4 100
დასახლებული პუნქტების მიწები	5,9 7,56		1,2 1,54	0,5 0,64	0,1 0,13	0,5 0,64	2,3 15,77	45,7 58,59		9,9 12,69
ჰიდროტექნიკური და წყალსამეურნეო ნაგებობებით დაკავებული მიწები						55,2 55,53				43,4 43,70
სახელმწიფო მარაგის მიწები							0,1 0,29	0,2 0,57		1,30 3,74
სულ მიწები	**202,4 2,78**	**3,0 0,04**	**2843,1 39,09**	**179,8 2,47**	**8,3 0,11**	**118,5 1,63**	**110,2 1,52**	**120,7 1,66**	**9,0 0,12**	**586,5 8,06**
მათ შორის მიწები, რომლებიც გამოიყენება ქვეყნის ადმინისტრაციული საზღვრების გარეთ				-12,8 -3,96			-0,2 -0,06			-12,3 -3,80
მიწები, რომლებიც გამოიყენება სხვა რესპუბლიკების მიწათმფლობელებისა და მიწათმოსარგებლეთა მიერ			+0,2 50							+0,1 25
სულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მიწები	**202,4 2,91**	**3,0 0,04**	**2843,3 40,91**	**167,0 2,40**	**8,3 0,12**	**118,5 1,71**	**110,0 1,58**	**120,7 1,74**	**9,0 0,13**	**574,3 8,26**

წყარო: ნაკაიძე ე. საქართველოს მიწის რესურსები და მათი რაციონალურად გამოყენების პრობლემები (რუს). თბ., „მეცნიერება“, 1997, გვ.36-37

ცხრილი 2. მიწის ფონდი და მისი განაწილება სავარგულებისა და მიწათმოსარგებლეთა მიხედვით 2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ათასი ჰექტარი)

	საერთო ფართობი	სასოფლო-სამეურნეო სავარგულები	მათ შორის			
			სახნავი	მრავალ-წლიანი ნარგავები	სათიბი	საძოვრები
კერძო საკუთრებაში გადაცემული	948,9 12,4%	767,3 25,3%	438,5 54,6%	180,5 68%	44 30%	84,5 4,7%
სახელმწიფოს საკუთრებაში	6679,5 87,6%	2258,5 74,7%	363,3 45,4%	83,5 32%	99,8 70%	1712,1 95,3%
მათ შორის						
სასოფლო-სამეურნეო პროფილის ორგანიზაციების	2822,3 42,2%	2172,1 96,2%	358,8 98,7%	76,1 91,3%	92,7 92,9%	1644,5 96,0%
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების	3857,2 57,8%	86,4 3,8%	4,5 1,3%	7,2 8,7%	7,1 7,1%	67,6 4%
აქედან დასახლებული პუნქტების	88,4 2,2%	1,6 1,8%	0,4 8,8%	0,7 9,7%	- -	0,5 0,74%
დაცული ტერიტორიების	300,7 7,8%	15,6 18%	0,1 2,2%	0,1 1,4%	1,1 15,5%	14,3 21,1%
ტყის ფონდის	2456,2 63,6%	55,9 64,6%	2,8 62,2%	6,1 84,7%	5,1 71,8%	41,9 62%
მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, საინფორმაციო საშუალებების, ენერგეტიკის, თავდაცვის და სხვა დანიშნულების	171,9 4,5%	12,8 14,8%	1,2 26,6%	0,3 4,1%	0,9 12,6%	10,4 15,4%
რელიგიური ორგანიზაციების	4,9	–	–	–	–	–
წყლის ფონდის	835,1 21,6%	0,5 0,6%	- -	- -	- -	0,5 0,74%
სულ	7628,4 100%	3025,8 100%	801,8 100%	264,3 100%	143,8 100%	1796,6 100%

წყარო: *საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. თბ. 2004. გვ. 24-25.*

ცხრილი 3. საქართველოს სახელმწიფო მიწის ფონდის განაწილება კატეგორიების და სავარგულების მიხედვით (ათასი ჰა)

	1990 წ.	2004 წ.	2005 წ.
სულ მიწები	7272,3	7628,4	7628,4
მათ შორის ადმინისტრაციულ საზღვრებში	6949,4	7628,4	7628,4
სულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები	2979,6	3025,8	3026,3
მათ შორის:			
სახნავი	694,3	801,8	802,1
მრავალწლიანი ნარგავები	279,3	263,8	264,0
სათიბი	156,1	143,8	143,5
საძოვრები	1686,3	1796,6	1796,6
საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვრებში	2782,2	3025,8	3026,3

ცხრილი 4. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები (ათასი ჰა) 1990-2024 წლებში

ფართობი	1990	1997	2003	2012	2024	2024 წელი 1990 წლის მიმართ +/-
ნათესი ფართობი სულ	701,9	597,5	561,7	259,6	191,5	-510,4
მათ შორის, მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები	269,8	437,2	371,0	132,8	152,1	-117,7
მათ შორის						
ხორბალი	91,7	174,9	117,3	50,0	53	-38,7
სიმინდი	107,0	203,2	197,6	114,8	70,0	-37
კარტოფილი და ბოსტნეულ-ბაღჩეული	67,3	62,4	88,2	52,9	25,7	-41,0

წყარო: „საქსტატი“

ცხრილი 5.მრავალწლიანი ნარგავების ფართობი (ათასი ჰა) 1990-2024 წლებში

ნარგავების სტრუქტურა	1990	1995	2003	2014	2024	2024 წელი 1990 წლის მიმართ +/-
ხეხილის ფართობი	126,5	94,9	65,3	59,4	75,9	-50,6
ვენახის ფართობი	112,8	94,2	70,2	32,9	41,2	-71,6
ციტრუსების პლანტაციები	24,7	13,2	15,9	7,4	9,1	-15,6
ჩაის ფართობი	62,3	33,1	39,9	4,6	4,6	-57,7

წყარო: „საქსტატი“

ცხრილი 6.სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების მაჩვენებლები 1990-2024 წლებში (ათასი ტონა)

პროდუქცია	1990	1995	2003	2012	2014	2019	2020	2024	2024 წელი 1990 წლის მიმართ +/-
ხორბალი	257,7	76,6	225,4	80,7	47,5	100,6	102,4	149,1	-108,6
სიმინდის მარცვალი	270,2	386,5	461,9	267,0	291,6	207,1	255,0	211,5	-58,7
კარტოფილი	293,8	353,3	425,2	252,0	215,3	194,7	208,6	221,5	-72,3
ბოსტნეული	443,2	428,3	430,1	198,5	153,6	161,1	176,1	134,4	-308,8
ბაღჩეული	38,8	12,9	125,0	36,7	86,1	79,9	83,6	41,5	+2,7
ხილი	591,2	383,9	260,0	157,9	210,8	502,2	228,6	243,6	-347,6
ყურძენი	691,0	422,4	200,0	144,0	172,6	293,8	316,9	320,7	-370,3
ციტრუსები	283,1	118,0	40,0	77,0	69,8	64,0	56,8	552	+268,9
ჩაის ფოთოლი	501,7	38,5	24,0	2,6	1,8	2,0	2,4	2,6	-499,1
თხილი				24,7	33,8	24,0	32,7	-	-

წყარო: „საქსტატი“

ცხრილი 7. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები 1990-2024 წლებში (ათასი ტონა)

პროდუქცია	1990	1995	2003	2012	2014	2019	2024	2024 წელი 1990 წლის მიმართ +/-
ხორცი (დაკლულ წონაში, ათასი ტონა)	170,3	115,4	108,9	42,6	87,9	69,5	88,7	-81,6
რძე (მლნ ლიტრი)	659,4	475,4	765,1	589,5	555,3	561,8	574,4	-85,0
კვერცხი (მლნ ცალი)	769,2	269,4	458,1	474,0	634,8	661,2	673,1	-96,1
მატყლი (ათასი ტონა)	6,2	3,1	2,0	1,6	1,9	1,8	1,9	-4,3

წყარო: „საქსტატი“

ცხრილი 8. პირუტყვის, ფრინველის სულადობა და ფუტკრის ოჯახების რაოდენობა ყველა კატეგორიის მეურნეობაში (წლის ბოლოსათვის, ათასი სული)

სულადობა	1990	1995	2000	2003	2014	2017	2020	2024	2024 წელი 1990 წლის მიმართ +/-
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	1298,3	973,6	1177,4	1242,5	970	909,7	925,8	811,5	-486,8
მ.შ. ფური და კამეჩი	551,7	531,3	646,3	728,0	563,0	477,4	450,8	404,3	-147,4
ღორი	880,2	352,6	443,4	473,8	169,7	150,7	165,7	138,4	-741,8
ცხვარი და თხა	1618,1	724,8	627,6	722,2	919,6	907,0	869,5	744	-874,1
ფრინველი (მლნ ფრთა)	21,8	13,8	7,8	8,9	6,7	8,4	10146	8,047	-13,75
ფუტკრის ოჯახი (ათასი სკა)	182	149	175	180,3	190,7	240,6	228,5	174,8	-7,2

წყარო: *„საქსტატი“*

მიწათმოწყობა (როგორც სისტემა) ფაქტობრივად, არ არსებობს და ახლა ყალიბდება. სამინისტროებს შორის ფუქნქციები რაციონალურად არ არის გადანაწილებული. არ არსებობს ობიექტური ინფორმაცია მიწის (ნიადაგის) დეგრადაციის შესახებ (გაუდაბნოება, ეროზია, დამარილიანება, გაჭუჭყიანება, მეორადი დაჭაობება და სხვა.) სრულყოფილად არ წარმოებს მიწის (ნიადაგის) დეგრადაციის მიზეზების შესწავლა (დადგენა). 90-იან წლებში სპონტანურად დაიწყო და დაჩქარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დეგრადაციის პროცესი. სოფლის მეურნეობა სისტემურმა კრიზისმა მოიცვა და ქართული სოფლის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური ფენომენის სტერეოტიპის მსხვრევა გამოიწვია. უხეში მეთოდოლოგიური შეცდომებიც იყო დაშვებული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის გარდაქმნების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში. „რეფორმებს“ კომპლექსური ხასიათი, ერთიანი მეთოდოლოგია არ ჰქონდა (დღესაც არა აქვს). მეთოდურად დამკვიდრდა აზრი, რომ სახელმწიფო ტრანსფორმაციის პროცესში აქტიურად არ უნდა ჩართულიყო („ვაშინგტონის კონსესუსი და მისი დოქტრინა „შოკური თერაპია“) **და ამით გაეხსნა გზა განუკითხაობას, კერძო ინტერესების უკონტროლო თარეშს.**

– ასეთ პირობებში ჩამოყალიბებულმა სახელმწიფოს ეკონომიკურმა (აგრარულმა) პოლიტიკამ დროის გამოწვევებს ვერ გაუძლო და მივიღეთ სოციალურად პოლარიზებული საზოგადოება და სუსტ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელიც მნიშვნელოვან წილად წვრილ, ძირითადად არარენტაბელურ საოჯახო მეურნეობებს მოიცავს.

2. თანამედროვე პირობებში მიწის (ბუნებრივი რესურსის) წარმოების ძირითადი ფაქტორის – მეურნეობრიობის ობიექტის როლი მნიშვნელოვნად იზრდება

– მიწის რესურსების რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებაზეა დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკის კომპლექსური განვითარების ხელსაყრელი გარემოს შექმნა. **ამიტომ საჭიროა სახელმწიფომ (მთავრობამ) შეიმუშავოს მიწის ისეთი პოლიტიკა, მიწის რესურსების მართვის ისეთი ეფექტიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მიწის რესურსული პოტენციალის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების დაჩქარების ძირითად ფაქტორად გამოყენებას.** ეს გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებას (სასურსათო უზრუნველყოფის მყარი საფუძვლის მომზადებას), სა-

სარგებლო წიაღისეულის რესურსების თანამედროვე ტექნოლოგიებით მოპოვებას და გადამუშავებას (მრეწველობის ძირითადი დარგების განვითარებას), სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოებას და გადამუშავებას **(კვების, მსუბუქი მრეწველობის, ფარმაცევტული და სხვა შესაბამისი დარგების განვითარებას),** რეკრეაციული რესურსების ეფექტიანად გამოყენებას **(ტურიზმის, საკურორტო მეურნეობის განვითარება)** საცხოვრისი სივრცის გაჯანსაღება, მიწის, როგორც გეოეკონომიკური ფაქტორის მიზნობრივად (სტრატეგიის შესაბამისად) გამოყენებას, როგორც ტერიტორიის **(მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების)** სასაზღვრო ნაწილის **(სახელმწიფო საზღვრის)** საკუთარი ინტერესებისათვის ეფექტიან გამოყენებას და ა.შ.

– მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და მის დაცვაზეა არსებითად დამოკიდებული ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპები, არსებული ეკოლოგიური სისტემების შენარჩუნება, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდი მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილების წინაპირობების შექმნას. **ამ მიზნით აუცილებელია ხელისუფლებას გააჩნდეს მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა, რასაც საფუძვლად დაედება ქვეყნის მიწის (როგორც ბუნებრივი რესურსის, წარმოების ფაქტორის, გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური, სივრცობრივი ბაზისის, უძრავი ქონების ობიექტის) რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოყენების სისტემური ანალიზი და შეფასება.**

– მიწის რესურსების (სახელმწიფო ფონდის) ეფექტიანად გამოყენების, დაცვისა და აღწარმოების მრავალმხრივი პროცესი პროგრამულ მართვას (რეგულირებას) საჭიროებს. ამიტომ მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, როგორც რეგულირების მთავარი ინსტრუმენტი, ეფექტიანად უნდა გამოიყენებოდეს.

– იმის გათვალისწინებით, რომ მიწის ეფექტიანობის ამაღლება ზოგადსაკაცობრიოსთან ერთად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამოცანაა, რომელზეც დამოკიდებულია არა **მხოლოდ მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოება,** არამედ ეროვნული საბაზრო **ეკონომიკის ახალი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებაც,** აუცილებელია **დაჩქარდეს მიწის რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის, ორგანიზაციულ-მართველობითი სისტემის, ეკონომიკური მექანიზმის ფორმირების პროცესი.**

– პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ეკონომიკაში რთული ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური სუბიექტის და მიწის რესურსების მესაკუთრის მაორგანიზებელი (ექსკლუზიური) როლის (ფუნქციების) სწორად განსაზღვრას. მითები იმის შესახებ, რომ ბაზარი თითონ გადაწყვეტდა ეკონომიკის ეფექტიანობის საკითხებს დაიმსხვრა. ეკონომიკაში, მით უფრო მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში ეფექტიანი საბაზრო მექანიზმების დამკვიდრებას სახელმწიფოს მრავალმხრივი მხარდაჭერა სჭირდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო – კერძო სექტორისა და სახელმწიფო – მეცნიერების პარტნიორობას.

3. მიწის რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების დამოკიდებულება მიწათმოწყობის სისტემაზე

– ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპის თავისებურებებით განისაზღვრებოდა მიწათმოწყობის პრინციპები, მეთოდები, ფუნქციები. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში, ისე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, წარმოიქმნა ახალი ტიპის (საბაზრო პრინციპებზე) მიწათმოწყობის აუცილებლობა.

– XX საუკუნის 90-იანი წლებიდან თვისებრივად შეიცვალა მიწის რესურსების მართვის პრინციპები, მიწაზე საკუთრების ფორმაც. ახლებურად დაისვა მიწათმოწყობის ამოცანებიც. მიწის რეფორმის წარუმატებლად (მოუმზადებლად) ჩატარებამ მრავალი ახალი პრობლემა წარმოშვა. პირველ რიგში აღსანიშნავია მიწის ფართობების ფრაგმენტაცია. გაუარესდა მრავალ ნაკვეთიანობისა და შორსმიწიანობის მაჩვენებლებიც, 1700 კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციის ბაზაზე შეიქმნა 642 ათასი (2014 წლის აღწერით) მეურნეობა. **ამათგან 98,2%-ს წვრილი მეურნეობები შეადგენენ, რომელთა საშუალო შიდასამეურნეო ფართობი 1,22 ჰა. 77%-ს ერთ ჰექტრამდე მიწის ფართობი ჰქონდა. რეფორმის შედეგად ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავა გზებმა, ღობეებმა.**

– განადგურდა მიწათმოწყობასთან დაკავშირებული უნიკალური შინაარსის და ინფორმაციის მატარებელი დოკუმენტები, გაუქმდა მიწის მართვის შესაბამისი სამსახურები, საპროექტო ინსტიტუტი, კვლევითი ლაბორატორიები, გაიფანტა კადრები, შეიქმნა სრული განუკითხაობის გარემო. **ქვეყანა მიწათმოწყობის ორგანიზაციული სისტემის გარეშე დარჩა.**

– ადრინდელი მეურნეობების დაშლის შემდეგ, აუცილებელი ხდება სოფლებისა და დასახლებების საზღვრების დადგენა, სასაზღვრო დავების გადაწყვეტა, მიწის ნაკვეთების რაოდენობა, არასრული ინფორმაციით არა ნაკლებ – 3-3,5 მილიონს შეადგენს, რომელსაც შესაბამისი დოკუმენტის შედგენა სჭირდება. ფაქტობრივად თავიდან უნდა დავიწყოთ სამიწათმოწყობო სამუშაოები.

– **ახალი გამოწვევების შესაბამისად უნდა შეიქმნას მიწათმოწყობის** ერთიანი სისტემა. ეს რთული ამოცანა მოიცავს პრობლემათა ფართო სპექტრს, **კერძოდ, საკანონმდებლო ბაზის, მართვის ორგანიზაციული სისტემის, ეკონომიკური მექანიზმის ახალ პრინციპებზე ფორმირებას.** გასათვალისწინებელია ის, რომ მიწათმოწყობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს **საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმების პლურალიზმის პირობებში,** თანაც, როცა წვრილ ოჯახურ მეურნეობებშია კონცენტრირებული მიწის ფართობები (მწვავედ დადგა მათი კონსოლიდაციის საკითხი), სოფლების, მუნიციპა-

ლიტეტების, ფიზიკური და იურიდიული პირების ტერიტორიების, განსაკუთრებით სახელმწიფოს საზღვრების პრობლემა არ არის მოგვარებული. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის თავისებურებაც, რომ მიწათმოწყობა საჭიროა არა მხოლოდ სოფლის მეურნეობაში, არამედ თითოეულმა მიწათმოსარგებლემ ფიზიკური პირიდან დაწყებული, დამთავრებული სახელმწიფოთი, უნდა იცოდეს მიწის რა რესურსებს ფლობს, როგორია მიწის ფართობის სამეურნეო შესაძლებლობათა ძირითადი მახასიათებლები. ეს ყველაფერი საჭიროა იმისათვის, რომ მომავალში მაინც ობიექტურად განისაზღვროს მიწის ეფექტიანად გამოყენების პერსპექტივა. **მიწათმოწყობის ობიექტი უნდა იყოს ქვეყნის მიწის ფონდი,** ეს გულისხმობს იმას, რომ მიწათმოწყობის სამუშაოებს მრავალფუნქციური მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, მიწის ფართობის არსებული მდგომარეობის შეფასება, მათი რაციონალურად გამოყენების მიზნით ღონისძიებათა შემუშავება, მიწის კანონმდებლობის დაცვის პირობების შექმნა, მიწის დაცვის ღონისძიებათა განხორციელება, მიწის ბაზრის გონივრული, ეფექტიანი ფორმირება-ფუნქციონირება და სხვა. განსაკუთრებით იზრდება ტერიტორიული (სამეურნეობათაშორისი) მოწყობის მნიშვნელობა. გადასაწყვეტია მიწის კონსოლიდაციის პრობლემაც. სირთულეებთან არის დაკავშირებული შიდასამეურნეო მიწათმოწყობაც, რომელიც ტარდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების მიზნით.

– **განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიწის ნაკვეთების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციას, რაც გულისხმობს ახალი მიწების ათვისებას, მიწების** აღდგენას და კონსერვაციას, დარღვეული მიწების რეკულტივაციას, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დანერგვას, დაჭაობებული მიწების დაშრობას, მიწების გასარწყავებას, დატერასებას, განმარილებას, დაბალინტესიური მიწის სავარგულების მაღალ ინტენსიურში გადაყვანას, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მიზანშეწონილად გადაადგილებას და სხვ.

– "მიწათმოწყობის" თანამედროვე ინტერპრეტაცია მოცემულია გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისიის გამოკვლევაში **„ევროპაში მიწის რესურსების მართვა, განვითარების ტენდენცია და ძირითადი პრინციპები"**, სადაც ნათქვამია, რომ ტერმინი „მიწათმოწყობა" გამოიყენება იმ პროცესების აღწერისათვის, რომელთა მეშვეობით მიწის მატერიალური რესურსები კარგ მდგომარეობაში მოდის იმისდა მიუხედავად, არის თუ არა მიწა სახელმწიფოს, იურიდიული თუ კერძო პირის საკუთრება. იგი **მოიცავს საქმიანობის ყველა სახეს, რომლებიც დაკავშირებული არის მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან, მიწათმოქმედების, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, უძრავი ქონების ობიექტების რაციონალურად გამოყენების და ფლობის ორგანიზაციის, ასევე ქალაქებისა და სოფლების ტერიტორიული დაგეგმვის ჩათვლით. იგი მოიცავს კომუნალური ობიექტებისა და კომუნიკაციების მშენებლობას და მართვას, მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებას (მაგალითად, სატყეო მეურნეობა, ნიადაგის რაციონალური გამოყენება, ანუ სოფლის მეურნეობა),** მიწის გამოყენების სფეროში პოლიტიკის რეალიზაციას, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და მონიტორინგს, იმ საქმიანობას, რომელიც მიწის ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს. **მიწის რესურსების მართვა – ინფრასტრუქტურის ნაწილია, რომელიც მხარს უჭერს ეფექტიან მიწათმოწყობას და განიხილება, არა როგორც თვითმიზანი, არამედ როგორც მიზნის მიღწევის საშუალება.**

– **მიწათმოწყობის არა როგორც თვითმიზნის, არამედ მიზნის მიღწევის საშუალების ზემოთ აღნიშნულ განსაზღვრას პრინციპული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.** ახლა მთავარია გლობალურ სივრცეში მიწათსარგებლობის ტენდენციათა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად სწორად განისაზღვროს მიზანი, ამოცანები, მართვის მექანიზმი, ტექნოლოგიები. ამოსავალი აქ უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პოტენციალის (ინტენსიურთან ერთად ექსტენსიური ათვისება) რაციონალური გამოყენება, **რაც უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს მიწის ნაყოფიერების მიზნობრივად ამაღლებას.** ამიტომ მომავალშიც უნდა დარჩეს მთავარ პრინციპად მიწათმოწყობის სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ხასიათი, სოციალურ ეკონომიკური შინაარსის კონკრეტულ რეალობასთან (დინამიკასთან) ადაპტირების პრინციპი. მიწა, როგორც ბუნებრივი ეროვნული სიმდიდრე, წარმოების საშუალება, მრავალფუნქციონალურობით ემსახურება ადამიანს, მის კეთილდღეობას. **აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ მიწათმოწყობა, როგორც პროცესი (მეთოდი) სისტემატიურად სრულყოფას, ფუნქციების გამრავალფეროვნებას, გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის პროცესებზე ზემოქმედების მობილური მექანიზმების (ადაპტირების) გამოყენებას საჭიროებს.**

– **ამრიგად, „მიწათმოწყობა" – კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემაა, რომელიც ზემოქმედების სხვადასხვა ბერკეტების (ინსტრუმენტების) გამოყენებით ემსახურება მთავარ მიზანს – მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებას და დაცვას, რაც არა მხოლოდ სასურსათო უზრუნველყოფის მყარ გარანტიებს ქმნის, არამედ ამასთან ერთად ხელს უწყობს ყველა სფეროში მიწის, როგორც წარმოების ფაქტორის ეფექტიანად გამოყენების საფუძველზე მომიჯნავე დარგების განვითარებას, საბოლოოდ, შრომის დანაწილების პროცესის გაღრმავებას.**

– **მიწათმოწყობა, როგორც მიწის მდგომარეობის შესწავლის მიზნით ჩამოყალიბებული სამართლებრივი, ეკონომიკური, საინჟინრო-ტექნიკური და სხვა სახის სამუშაოთა თანმიმდევრულად ერთმანეთთან დაკავშირებული (ინტეგრირებული) სისტემა, ქვეყნის მიწის რესურსების (სახელმწიფო ფონდის) მიზნობრივად და რაციონალურად გამოყენების მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც სახელმწიფოს აძლევს საშუალებას უზრუნველყოს მიწის რესურსების ინტეგრირებული მართვა და დაცვა. ამიტომაა, რომ თანამედროვე პირობებში მიწათმოწყობა სახელმწიფო მართვის მეთოდად (ინსტრუმე-**

ნტად) არის აღიარებული და სახელმწიფო პოლიტიკით ხორციელდება. მისი როლი განსაკუთრებით დიდია დღეს საქართველოში, სადაც ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გარდამავალი პერიოდი გახანგრძლივდა, ადრინდელი და ახალი პრობლემები რთულ კვანძებად ჩამოყალიბდა და ფაქტობრივად ამოქმედებული არ არის მიწის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების არსებული ფაქტორები. მიწათმოწყობის ახალი სახელმწიფო პოლიტიკის ამოცანებია:

– საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივ - საწარმოო თავისებურებათა გათვალისწინებით მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის მდგომარეობის შესწავლა, შესაბამისი პროგრამების და მიწათმოწყობის გენერალური სქემის შემუშავება; ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, მიწის ნაკვეთების საზღვრების გამიჯვნა, მიწათმოწყობის პროექტების შედგენა;

– ნიადაგის დაცვის, დაზიანებული მიწების, ახალი მიწების ათვისების, ნიადაგის შენახვისა და ნაყოფიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი პროექტების დამუშავება;

– ქალაქის, დაბის, სოფლის დასახლებების საზღვრების დაზუსტება;

– ტოპოგრაფიულ-გეოდეზური, კარტოგრაფიული, ნიადაგობრივი, აგროქიმიური და სხვა გამოკვლევების ჩატარება, მიწის რესურსების გამოყენების მდგომარეობის შესახებ თემატური რუკებისა და ატლასების შედგენა; მიწის რესურსების ინვენტარიზაციის - მიწის კადასტრის ჩატარება და სხვ;

– სამიწათმოწყობო საქმიანობა უნდა განხორციელდეს ყველა სახის მიწის რესურსის მიმართ; დასახლებული და მათთან დაკავშირებული სპეციფიკური ამოცანების, რომლებიც სამუშაოების შესრულების პროცესში წამოიჭრება, განხორციელება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, რამდენად მოხერხდება თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ორგანიზაცია. ეს არსებითად დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან პროგრამაზე, სამწუხაროდ, ასეთი პროგრამა სახელმწიფოს არ აქვს.

– მსოფლიო გამოცდილება, მათ შორის ჩვენი ქვეყნის გამოცდილებაც, ადასტურებს, რომ მიწათმოწყობა, როგორც მიწის რესურსების სახელმწიფო მართვის ფუნქცია (მეთოდი) უნდა განხორციელდეს შესაბამისი კანონმდებლობით. განვლილ პერიოდში ვერ მოხერხდა საქართველოში ,,მიწის კოდექსის" მიღება, ასევე არ გვაქვს კანონი ,,მიწათმოწყობის" შესახებ, მიწის კადასტრიც არ არის შედგენილი.

4. მიწის კოდექსი – მიწის რესურსული პოტენციალის მართვის ინსტრუმენტი

– პრინციპული მნიშვნელობა აქვს მიწის კანონმდებლობის (კოდექსის) მიზნებისა და ამოცანების ახლებურად (განვითარების ამჟამინდელი ეტაპის თავისებურებების გათვალისწინებით) გაცნობიერებას. იგი უნდა შეესაბამებოდეს - სახელმწიფოებრივ სტრატეგიულ ინტერესებს. განვლილი პერიოდის ანალიზის ფონზე სწორად მიგვაჩნია კოდექსში აისახოს ფუძემდებლური პრინციპები, რომელთა დაცვა სავალდებულო უნდა იყოს ქვეყნის ტერიტორიაზე. ასეთია:

– **მიწა საქართველოს ეროვნული სიმდიდრეა** - მისი არსებობის საფუძველი, რომლის დაცვა, მიზნობრივი (რაციონალური) გამოყენება და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება (გადაცემა) სახელმწიფოს, საზოგადოების და მიწის მფლობელების მოვალეობაა.

– მიწის გამოყენება და დაცვა კომპლექსური (სამართლებრივი, ეკონომიკური, ორგანიზაციული, ეკოლოგიური და ა.შ.) ღონისძიებებით **საერთო-სახელმწიფოებრივი და რეგიონული მიზნობრივი პროგრამებით** ხორციელდება და ეფუძნება სასოფლო-სამეურნეო დარაიონების (ტერიტორიის დაყოფა ბუნებრივ-საწარმოო პირობების მიხედვით) პრინციპს.

– მიწის კოდექსით უნდა განისაზღვროს ქვეყანაში ეკოლოგიური უსაფრთხოების (მდგრადი განვითარების) პრინციპების დაცვის სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული მიმართულებები, **მიწაზე საკუთრებისა და მეურნეობრიობის მრავალი ფორმის თანაბარუფლებიანი განვითარების პრინციპები,** მესაკუთრეთა უფლებები, მიწის კატეგორიებისა და სახეების შეცვლის პირობები.

– მიწის კოდექსში უნდა ჩაიწეროს, რომ საქართველოში მიწაზე საკუთრების ფორმებია: კერძო, სახელმწიფო, სათემო (არა მხოლოდ მთის ზონისათვის), საეკლესიო და განისაზღვროს **მათთვის ფუნქციონირების თანაბარი პირობებიც** (სამართლებრივი, ეკონომიკური). ამასთან უნდა გაცხადდეს, რომ მიწაზე საკუთრება არა მხოლოდ უფლებას გამოხატავს, არამედ **ვალდებულებასაც.** ეს მიდგომა მკაფიოდ დაფიქსირდა საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროექტის საჯარო განხილვისას (2019 წელი).

– კოდექსში განისაზღვროს, რომ მიწის სახელმწიფო მონიტორინგი და კონტროლი მოიცავს ყველა კატეგორიის მიწას (მიუხედავად საკუთრების ფორმებისა), მასზე დაკვირვებას, შეფასებას, პროგნოზირებას იმ მიზნით, რომ მოპოვებული იქნას ობიექტური ინფორმაცია მიწის მდგომარეობის შესახებ, სტრატეგიულ დაგეგმვას, რომ გათვალისწინებულ იქნას მიწის, როგორც ინტეგრირებული სისტემის თავისებურებანი და კომპლექსურად განისაზღვროს მისი რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების ხელშემწყობი გარემო. დაიხვეწოს და ჩამოყალიბდეს მიწის გამოყენებისა და დაცვის კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების, რეგულაციებისა და პრინციპების დარღვევების საწინააღმდეგოდ განსახორციელებელი კონტროლის პირობები და წესები. როგორც წესი, მიწის მონიტორინგთან და კონტროლთან დაკავშირებული ღონისძიებები და ხარჯები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ. მიწის რაციონალურად გამოყენების პრიორიტეტები.

– საქართველოში, რომელიც მცირემიწიანია და ბუნებრივ-საწარმოო პირობებით განსხვავებულ ტერიტორიებს მოიცავს (დაქუცმაცებული ნაკვეთები, ვერტიკალური ზონალობა, ნიადაგის მრავალფეროვნება,

წარმოების პროცესების მექანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობანი და ა.შ.) უპირატესობა უნდა მიეცეს **მიწის რესურსების სასოფლო-სამეურნეო გამოყენებას, რაც განპირობებულია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ინტერესებით.**

– მიწის კოდექსში უნდა აისახოს მიწის კატეგორიების (სახეების) ცვლილებების ორგანიზაციულ- სამართლებრივი რეგულირების მექანიზმიც. უკანასკნელი წლების ნეგატიური გამოცდილება გვარწმუნებს იმაში, რომ ეს საკითხი ქვეყანაში უნდა გადაწყდეს ცენტრალიზებულად (შესაბამის სახელმწიფო ინსტანციას უნდა დაეკისროს საბოლოო გადაწყვეტილების, განსაკუთრებით ეს ეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, მიღების ფუნქცია).

– კოდექსში შესაძლებელია განისაზღვროს მიწის ფართობის ზომის (შეზღუდვის) საკითხიც. ასეთი გამოცდილება აქვს ბევრ განვითარებულ ქვეყანას.

– მიწის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ორგანიზაციაში სამართლებრივად უნდა განისაზღვროს მიწის რესურსების სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმი. სამართლებრივი და ეკონომიკური ურთიერთობების ობიექტს წარმოადგენს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული მიწის ყველა ფართობი. ამიტომ ყველა კატეგორიისა და სახეების მიწების სახელმწიფო რეგულირების სისტემა ერთიან კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს.

5. მიწის კადასტრი – მხოლოდ დაბეგვრის ფუნქციას არ ასრულებს

– მიწის რაციონალური გამოყენებისათვის აუცილებელია მიწის შესახებ სრული და ყოვლისმომცველი მონაცემების სისტემატიზებული კრებულის არსებობა. ასეთად აღიარებულია მიწის კადასტრი. მისი ფუნქციები მრავალფეროვნებით ხასიათდება, დაწყებული ფისკალური ფუნქციით და თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში მიწის დაცვისა და რეგიონული გამოყენების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის როლით. კადასტრი მრავალმიზნობრივია და ემსახურება მიწის რესურსების სტრატეგიული მართვის ამოცანას. აქედან გამომდინარეობს კადასტრის მონაცემთა ბაზის ისეთი მახასიათებლების განსაზღვრა, **როგორიცაა მიწის ბუნებრივი მდგომარეობის აღრიცხვა, მიწის სამეურნეო დანიშნულება (ადგილმდებარეობა, კონფიგურაცია, ნაკვეთების ზომა, სახეებისა და გამოყენების სამართლებრივი ფორმა, მიზნობრივი დანიშნულება და ა.შ.), მიწის ეკოლოგიური მდგომარეობა, მიწის ეკონომიკური შეფასება. ძირითადად ამ მონაცემების ერთობლიობით განისაზღვრება მიწის კადასტრი, რომლის საბოლოო დანიშნულება უნდა იყოს მიწის რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება, დაცვა, მესაკუთრეთა და მიწის მოსარგებლეთა უფლებების დაცვა.**

– მეურნეობრიობის სისტემაში მიწა, როგორც მართვის ობიექტი წარმოშობს მისი რესურსების გამიჯვნის, გადანაწილების, რეგულირებისა და დაცვის პრობლემებს. ამიტომ კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ჩამოყალიბდა მიწის კადასტრი, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივ-რესურსული კადასტრების ერთ-ერთ სახეს, იგი განსხვავდება სხვა სახის კადასტრებისაგან, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ მიწა წარმოადგენს მატერიალური კეთილდღეობის წყაროსთან ერთად წარმოების სპეციფიკურ საშუალებას, გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში ასრულებს სივრცობრივი ბაზისის ფუნქციას, ხოლო მომპოვებელ მრეწველობაში შრომის საგნის ფუნქციასაც. **მიწა სოფლის მეურნეობაში ასრულებს შრომის საგნისა და შრომის იარაღის ფუნქციასაც. მიწა ასევე სივრცობრივად შეზღუდულია, აქვს სპეციფიკური თვისებაც - ნაყოფიერება, რომელზეც** არის დამოკიდებული მცენარეთა ზრდა-განვითარება. მიწა გამოყენების თვალსაზრისით მრავალმხრივობით გამოირჩევა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული, როგორც თავისებურება, მოითხოვს მიწის, როგორც ობიექტის შესახებ სათანადო მონაცემების არსებობას, ე.ი. მიწის კადასტრის შედგენას.

– საქართველოში საბაზრო ეკონომიკურ ურთერთობებზე გადასვლის პრაქტიკა (გამოცდილება) გვიჩვენებს, რომ მიწის კადასტრი თავისი შინაარსითა და დანიშნულებით **არ უნდა დავიყვანოთ მხოლოდ დაბეგვრის ობიექტის მნიშვნელობამდე. რატომ? მიწა მისი მრავალმხრივი თვისებების გამო ესკლუზიურ ფუნქციას ასრულებს, რომელთაგან მნიშვნელოვანია დოვლათის წარმოების უმთავრესი პირობის ფუნქცია. ამიტომ, მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ მიწის კადასტრის დანიშნულებაა მიწის რესურსების ეფექტიანი და რაციონალური გამოყენება (მოიცავს ზუსტ აღრიცხვას, ოპტიმალურ მიწაათმოწყობას, მიწაზე სამეურნეო საქმიანობის ობიექტურ შეფასებას, კომპლექსურ დაგეგმვას და ა.შ.).** ეს ნიშნავს, რომ კადასტრი მრავალმიზნობრივია და ეფუძნება მიწის რესურსების სტრატეგიული განვითარების სამართლებრივი, ეკონომიკური, ეკოლოგიური და ორგანიზაციული ასპექტების ყოველმხრივ გათვალისწინებას. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს მიწის კადასტრის ასეთი გაგებიდან გამომდინარეობს მისი მონაცემთა ბაზის ისეთი მახასიათებლების განსაზღვრა, როგორიცაა: მიწის ბუნებრივი მდგომარეობის აღრიცხვა (იგულისხმება ბიოკლიმატური პოტენციალი, ნიადაგის საფარი, რელიეფი, მცენარეული საფარი, მიწის სახეები); მიწის სამეურნეო დანიშნულება (ადგილმდებარეობა, კონფიგურაცია, ნაკვეთების ზომა, სახეებისა და გამოყენების სამართლებრივი ფორმა, მიზნობრივი დანიშნულება და ა.შ.), მიწის ეკოლოგიური მდგომარეობა; მიწის ეკონომიკური შეფასება. ძირითადად ამ მონაცემების ერთობლიობით განისაზღვრება მიწის კადასტრი, რომლის საბოლოო დანიშნულება უნდა იყოს მიწის რესურსების რაციონალური (მიზნობრივი) გამოყენება და დაცვა, მესაკუთრეთა და მიწის მოსარგებლეთა უფლებების დაცვა. კადასტრის საკანონმდებლო საფუძველია მიწის კოდექსი, რომლის შესაბამისად განისაზღვრება მისი სტრუქტურა (პრინციპები).

– სახელმწიფო მიწის კადასტრი უნდა მოიცავდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიას, ხოლო მიწაზე უფლებების განხორციელება სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაციას, მიწის კადასტრთან დაკავშირებული ოპერა-

ციების ხარჯებს, როგორც წესი, სახელმწიფო ეწევა.

– თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებში, მითუფრო გარდამავალ პერიოდში, მნიშვნელოვნად გაიზარდა მიწის კადასტრის როლი. იგი არსებითად ემსახურება შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას: ახალი ტიპის საადგილმამულო ურთიერთობების ჩამოყალიბებას, საგადასახადო და საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებას, მიწის რესურსების დაცვას, სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებას, რაციონალურ მიწათმოწყობას, სამეურნეო საქმიანობის შეფასებას, მიწის ბაზრის განვითარების ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლების შექმნას, იპოთეკური სისტემის ჩამოყალიბებას და ა.შ. იმის გათვალისწინებით, რომ ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება მიწის კადასტრის მიმართ ახალ მოთხოვნებს აყალიბებს, კადასტრის ფორმირების (გამოყენების) ძირითად პრინციპად აღიარებულია კადასტრის სისტემის ერთიანობა, მონაცემების ობიექტურობა, ინფორმაციის სისრულე. კადასტრი, როგორც აღინიშნა, მოიცავს სახელმწიფო მიწის ფონდის ყველა მიწას, კადასტრის ყველა შემადგენელი ეფუძნება შესაბამის სახელმწიფოებრივ აქტებს. ამასთან მნიშვნელოვანია მიწის კადასტრის გამოყენება ცენტრალიზებულად, რაც უზრუნველყოფს, როგორც მეთოდოლოგიურ, ასევე ორგანიზაციულ-მმართველობითი ბაზის ერთიანობას.

– მიწის კადასტრის შედგენის პროცესი მოითხოვს რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური და მმართველობით ღონისძიებათა განხორციელებას. უპირველეს ყოვლის, უნდა განისაზღვროს ქვეყნის ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებებისა და კადასტრის შედგენის მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, როგორ მოდელს (კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად) ვანიჭებთ უპირატესობას. ცნობილია, რომ კადასტრის შედგენისას შესასრულებელია კვლევითი სამუშაოები, მიწების აზომვა, ნიადაგის და კლიმატის, მათ შორის ეკოლოგიური პირობების შეფასება, მიწის ხარისხობრივი დახასიათება, მიწის ეკონომიკური შეფასება, საკადასტრო დოკუმენტაციის შედგენა და გაფორმება. გასათვალისწინებელია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიწის როლი და ფასი მუდმივად გაიზრდება. ამიტომ სახელმწიფო უნდა ცდილობდეს მიწასთან დაკავშირებული ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მოთხოვნები სრულად იყოს გათვალისწინებული. ამ თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიწის სწორად აღრიცხვას, რეგისტრაციას და მასზე უფლებების ობიექტურად ჩამოყალიბებას.

6. მიწის კონსოლიდაცია – მიწის რესურსული პოტენციალის მართვის მეთოდი

– **მიწის რეფორმის პერიოდში მწვავედ დადგა „მიწის კონსოლიდაციის“ პრობლემა. ლიტერატურაში ცნება „მიწის კონსოლიდაცია“ განიხილება ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით „მიწის კონსოლიდაცია“ - მსხვილი მასივების (მინდვრების) ფორმირებაა სასოფლო-სამეურნეო მიწათმფლობელობასა და მიწათსარგებლობაში სავარგულების სტრუქტურის, შემადგენლობის, კონფიგურაციის და მიწის ნაკვეთების ზომის გაუმჯობესების მიზნით ფართო გაგებით - სოფლის განვითარების ფარგლებში „მიწის კონსოლიდაციის“ უფრო ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს კომპლექსური კონსოლიდაცია, რომელიც ითვალისწინებს მიწის ნაკვეთების გადანაწილებასთან ერთად ღონისძიებების ფართო სპექტრს, რომლის მიზანია სოფლის განვითარების სტიმულირება. მაგალითად, სოფლის დასახლების აღდგენა, სოფლის გზების მშენებლობა, საირიგაციო-სადრენაჟო ინფრასტუქტურის შექმნა და ა.შ.**

– **ეს იმას ნიშნავს, რომ „მიწის კონსოლიდაცია“ ფრაგმენტაციის აღმოსაფხვრელად მიწის ნაკვეთების გადანაწილებასთან ერთად მოიცავს (გულისხმობს) სხვა მიზნების განხორციელებასაც. ეს კარგად ჩანს ევროპის ქვეყნების მაგალითზე.**

– ევროპის ქვეყნებში „მიწის კონსოლიდაცია“ გამოიყენება, როგორც ტერიტორიის სამიწათმოწყობო განვითარების ინსტრუმენტი, ერთდროულად წყვეტს რამდენიმე პრობლემას: ფერმების (სასოფლო-სამეურნეო წარმოება) კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, გარემოს დაცვას, ლანდშაფტის, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და სოფლად ცხოვრების ხარისხის ამაღლებას.

– **მიწის კონსოლიდაციის მსოფლიოში ჩამოყალიბებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იგი მრავალმიზნობრივი გახდა. ადრინდელი მიზნიდან - სოფლის მეურნეობის განვითარება - გადავიდა მრავალმიზნობრივი ფუნქციების შესრულებაზე, ე.ი. სოფლის მეურნეობის მიზანი ფაქტობრივად ინტეგრირებულია რეგიონების ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვის, საირიგაციო და სხვა სამუშაოების მიზნებთან. ამრიგად, მიწის კონსოლიდაცია, როგორც ტექნოლოგიური პროცესი, კომპლექსურად უნდა იყოს გამოყენებული დაქუცმაცებული ტერიტორიების ეფექტიანად გამოყენებისათვის, რათა იგი რაციონალურად იქნეს ათვისებული ერთდროულად სხვადასხვა მიზნის განხორციელებისათვის.**

– **საქართველოს შემთხვევაში კონსოლიდაცია მიწის დაქუცმაცების აღმოფხვრის მიზანთან ერთად მთელი ტერიტორიის მრავალფუნქციური გამოყენების ხელსაყრელი პირობების მომზადებას უნდა ემსახურებოდეს.**

– მიწის ზემოთ აღნიშნული თავისებურებებისა და მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ამოცანების გადაწყვეტის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, შესაბამისი რეკომენდაციებისა და საჭირო ღონისძიებათა სისტემის (გეგმის) ფორმირებისათვის აუცილებელია მიწის რესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ გვქონდეს ობიექტური ინფორმაცია. რატომ არა გვაქვს მიწის ბალანსი?

– **საქართველოში მიწის ბალანსის შედგენისა და სასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის აღრიცხვის წესით (საქართველოს მთავრობის დადგენილება N166, 2021 წლის 8.04) მიწის ბალანსი-მიწის ფონდის უფლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ნაერთი სტატისტიკური ინფორმაციაა.**

– ქვეყანაში მიწის ბალანსის შედგენასა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვას ახდენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი- მიწის მდგრადი მართვისა და **მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო.** იგი ბალანსს ადგენს საჯარო რეესტრში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის, დაცული ტერიტორიების, წყლის ფონდის, საავტომობილო გზებისა და რკინიგზის ელექტროგადამცემი ხაზების , ნავთობსადენების და კავშირგაბმულობის სისტემების მმართველობით სტრუქტურებში, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციებში, უწყებებში არსებული მიწათსარგებლობის მასალებში და სხვა ნებისმიერ შესაბამის დოკუმენტებში, მათ შორის საარქივო მასალებში არსებული მონაცემების საფუძველზე. სააგენტოს ევალება მასალების შესწავლა, ანალიზი, ურთიერთ შედარება, მათი დაზუსტება და მონაცემთა შესაბამისი ელექტრონულ ბაზაში ასახვა. ზემოთ განსაზღვრული ორგანიზაციები (პირები) ვალდებული არიან სააგენტოს მიაწოდონ მათთან არსებული დოკუმენტები (მათ შორის ელექტრონული). იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება შესაბამისი მონაცემების მოპოვება, სააგენტოს ევალება უზრუნველყოს მონაცემების შექმნა სხვა პრაქტიკული მეთოდების გამოყენებით. დამტკიცებულია მიწის ბალანსის მონაცემთა შემადგენლობა.

– რატომ ყოვნდება მიწის ბალანსის შედგენა, რა უშლის ხელს მიწის რესურსების აღრიცხვის მოწესრიგებას? შესაბამისი ,ე.ი. სანდო ინფორმაციების (წყაროების) არ არსებობა, რომელსაც საყოველთაოდ ცნობილი მიზეზები განაპირობებს. კერძოდ, მიწის რეფორმის ნეგატიურ შედეგებს სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მხრივ ობიექტური შეფასება არ მოჰყოლია, მიწის კადასტრი არ ჩატარებულა და შესაბამისად სტატისტიკის უწყვეტი წარმოების პრაქტიკა არ დამკვიდრებულა. ამიტომაა, რომ 2005 წლიდან მიწის ბალანსის წარმოება შეწყდა და **ეროვნული სიმდიდრის განუყოფელი და არსებითად განმსაზღვრელი ნაწილი-მიწის რესურსები ფაქტობრივად სისტემური რეგულირების (მართვის) მიღმა დარჩა.**

– მიწის სახელმწიფო ფონდის ინვენტარიზაციის ჩატარება გარდაუვალია.

– რატომ არის საჭირო მიწის (ქვეყნის მიწის ფართობის) სრული ინვენტარიზაცია და მის საფუძველზე მიწათმოწყობის (მიწათსარგებლობის) გენერალური სქემის (გეგმის) შედგენა?

– თანამედროვე პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოება უნდა დაეფუძნოს განვითარების ინოვაციურ მიდგომას, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეების დანერგვას უზრუნველყოფს. ამ საქმეში დიდია მასშტაბის ეფექტის როლთან ერთად მოცემული ტერიტორიის, როგორც ინტეგრირებული სისტემის (ბუნებრივი, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური კომპონენტები) სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა.

– პირველ რიგში საჭიროა სახელმწიფოს ბალანსზე არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობების დაზუსტება, სახნავი მიწის პერსპექტიული ფართობების დადგენა, საძოვრების, სათიბების კატეგორიებად (მაღალი ინტენსიური, საშუალო, დაბალი ინტენსიური) დაყოფა, მიწის სახელმწიფო მარაგის შექმნა და სხვ. მიწის ფონდის ინვენტარიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს მიწების კონსოლიდაციის წინაპირობების მომზადებას. აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო აღწერის (2004 წ.) მიხედვით მეურნეობების საშუალო ფართობი შეადგენდა 1,22 ჰა-ს. ნაკვეთების საშუალო რაოდენობა – 2,33. მეურნეობების 33,9%-ს ჰქონდა ერთ ნაკვეთიანი ფართობი, 48,8%-ს 2 ან 3 ნაკვეთიანი, 13 %-ს -4 ან 5 ნაკვეთიანი, 3,9%-ს 6 დან 9 ნაკვეთამდე, 0,4%-ს 10 ან მეტი ნაკვეთი.

– მიწის ფონდის ინვენტარიზაციის შედეგები (მონაცემები) საუძვლად უნდა დაედოს მიწის შემდგომ პრივატიზაციასა და იჯარით გაცემას, თითოეული მუნიციპალიტეტის მიხედვით მიწათმოწყობის სქემის შემუშავებას, მიწის რესურსების შესახებ ინფორმაციული ბაზის შექმნას, რომლის საფუძველზე შედგება მუნიციპალიტეტის, როგორც ქვეყნის ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური-ეკოლოგიური (მდგრადი) განვითარების გრძელვადიანი (მაგალითად 7-10 წლიანი) პროგრამები. იგულისხმება, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კომპლექსური განვითარება თვითმმართველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად უნდა იყოს მიჩნეული.

– მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მიწათმოწყობის (მიწათსარგებლობის) სქემა უნდა განვიხილოთ ქვეყნის მიწათმოწყობის **გენერალური სქემის** შემადგენელ ნაწილად. გენერალური სქემის უპირატესობა აშკარაა. იგი ასახავს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს, ხელს უწყობს სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტას, დროის გამოწვევების ადეკვატური მიდგომებით ტერიტორიის რაციონალურად ათვისების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტების როლსა და ადგილს მიწის რაციონალურად გამოყენების საერთო სახელმწიფოებრივ სტრატეგიაში, ავლენს რესურსებს რეგიონული განვითარების დონის გამოთანაბრებისათვის. **ასეთი სქემა იძლევა საფუძველს რესურსების კონცენტრირებულად (საერთო სახელმწიფოებრივი, რეგიონული, მუნიციპალური ინტერესების გათვალისწინებით) და ორგანიზაციულად (ეტაპობრივად) გამოყენებისათვის. დასახული მიზნების (ამოცანების) განხორციელება მოხდება მიზნობრივი პროგრამებით (გენერალური სქემის ჩარჩო პირობებით ჩამოყალიბებული მოთხოვნების შესაბამისად).**

– საბოლოოდ, მუნიციპალიტეტების დონეზე (ადგილობრივი, ბუნებრივ-საწარმოო შრომითი ტრადიციების გათვალისწინებით) ჩატარებული მიწის ფართობების ინვენტარიზაციის შედეგები შექმნის მყარ საფუძველს, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციების (პროგნოზირება, სტრატეგიული დაგეგმვა, წარმოების (შრომის) ორგანიზაცია,

კოორდინაცია და სხვ.) მიზნობრივად და სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებისათვის.

– მიწათმოწყობა უნდა განხორციელდეს კომპლექსური პროექტების მიხედვით, რომლებშიც გასათვალისწინებელია ქვეყნის რეგიონების მუნიციპალიტეტების ბუნებრივ-საწარმოო პირობები, შრომითი ტრადიციები, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული მემკვიდრეობით მიწის ნაკვეთის გადაცემის ტრადიცია (ოჯახის წევრებზე მიწის მცირე ნაკვეთების გამოყოფა), ასევე ერთ მასივში სხვადასხვა მესაკუთრის ნაკვეთების განლაგების ირიგაციული ან სხვა ღონისძიებათა (ქარსაფრები) განხორციელების თავისებურებები.

– განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიწის კონსოლიდაციის პროექტში აისახოს ეკოლოგიური მოთხოვნების დაცვის, მშენებლობის, კეთილმოწყობის (პარკები, სკვერები, ქარსაფარი და სხვ), წყალსაცავების, მაგისტრალური გზების რაციონალურად განლაგების, ტყეების ფართობების შერჩევა-განსაზღვრის ღონისძიებანი. **საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრება, რომ კონსოლიდაციის საკითხი მიწის ბაზარმა გადაწყვიტოს, საქართველოს დღევანდელ პირობებში მიუღებელია. მიწის კონსოლიდაცია საჭიროებს პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მაღალ დონეს.** მისი წარმატებულად განხორციელება მოითხოვს სახელმწიფო რეგულირების მოქნილი მექანიზმების გამოყენებას. მიწის **კონსოლიდაციის პროცესის რეგულირება სახელმწიფოს ვალდებულებად უნდა ვაღიაროთ.**

– მიზანშეწონილია მიღებულ იქნას კანონი,,მიწათმოწყობის შესახებ". იგი მიწის კოდექსისა და მიწის სახელმწიფო კადასტრთან ერთად უზრუნველყოფს მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების მყარი საკანონმდებლო ბაზის შექმნას. კანონში სრულად აისახება მიწის კონსოლიდაციის, როგორც სამიწათმოწყობო სამუშაოების ერთ-ერთი სახის როლი და მნიშვნელობა. ასევე უნდა განისაზღვროს ზომები (ღონისძიებანი), რათა თავიდან იქნას აცილებული მიწის ნაკვეთების შემდგომი დაქუცმაცება.

7. პროგნოზირება და სტრატეგიული დაგეგმვა – მიწის რესურსების (პოტენციალის) მართვის ფუნქცია

– ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანია მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის როლიც.

– FAO -ს მიერ 1981 წელს მსოფლიო ნიადაგის ,,ქარტიის მიღების" და 1992 წელს გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარების შესახებ კონფერენციის ჩატარების შემდეგ მიწის რესურსების გამოყენების **დაგეგმვა აღიარებულ იქნა მიწის რესურსების მდგრადი გამოყენებისა და მართვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად.** მიწის რესურსების გამოყენებისა და დაგეგმვის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძვლად აღიარებულია მიწის საფარის სისტემური ანალიზი და შეფასება, რაც განსაზღვრავს მას, თუ რამდენად გამოსადეგია მიწა მისი სხვადასხვა ფორმით გამოყენებისათვის,მათ შორის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობას და მიწის რესურსების მართვის დონის ამაღლებას.

– მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირებისა და დაგეგმვის პრინციპებს საფუძვლად უდევს ის თეორიული მახასიათებლები, რომლებიც არის ძირითადი, ნებისმიერი სახის პროგნოზირებისა და გეგმისათვის. ესენია: მეცნიერული დასაბუთების, სისტემურობის და კომპლექსურობის, ერთიანობის, უწყვეტობის, ინფორმატიულობის ეფექტიანობის პრინციპები.

– აღნიშნული პრინციპების დაცვა უზრუნველყოფს მიწის რესურსების ისეთი ფუნდამენტური თვისებების გათვალისწინებას, როგორიცაა ეკოლოგიური სისტემის ნაწილი (უნივერსალური ბუნებრივი რესურსი) - წარმოების ფაქტორი (სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, სამთო მრეწველობა) -უძრავი ქონება (რაც ახალია პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისათვის). მიწის რესურსების გამოყენების კომპლექსურობა გულისხმობს განვითარების პროცესის ყველა კომპონენტის როლის (ადგილის) და ურთიერთკავშირების (ურთიერთზემოქმედების) მდგომარეობის ახსნას და განვითარებას. ამასთან აღნიშნული პრინციპები გამოიყენება არა ცალ-ცალკე, არამედ როგორც ერთიანი სისტემა. ამიტომ ასეთი მიდგომა იძლევა საშუალებას ობიექტურად შევაფასოთ განვითარების პროცესი და შეიქმნას მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ხელშემწყობი გარემო. ამიტომ პროგნოზირებისა და დაგეგმვის ფუნქციის წარმატებულად განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწორად თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, რეალობის ადეკვატურად, მოხერხდება რესურსების გამოყენების ანალიზი და შეფასება.

– სამწუხაროდ, ქვეყანაში მიწის რესურსების გამოყენებაში პროგნოზისა და დაგეგმვის, როგორც მართვის ფუნქციის როლი ფაქტობრივად იგნორირებულია, ამით უნდა აიხსნას ის, რომ გარდაქმნების განვლილი პერიოდი საკმარისი არ აღმოჩნდა მიწის რესურსების აღრიცხვისა და რეგისტრაციის ეფექტიანი სისტემის ფორმირებისათვის. **მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის, დაგეგმვისა და ორგანიზაციის სრულყოფის მიზნით აუცილებელია:**

– ქვეყნის ტერიტორიის განვითარებისა და მიწის რაციონალურად გამოყენების გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრა (რა თქმა უნდა მიწის რესურსებზე ყველა დარგის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, მიწის კატეგორიების შესაბამისად).

– მიწის იმ ფართობების გამოვლენა, რომლებიც პერსპექტივაში შეიძლება გამოყენებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში - ათვისება, არსებულის გაუმჯობესება, მორწყვა, დაშრობა და სხვ.

– პროგნოზირებისა და დაგეგმვის ობიექტია მიწის სახელმწიფო ფონდი. ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს მიწის ფონდის ტრანსფორმაციის თავისებურებებისა და ტენდენციების ანალიზი, შეფასება და განვითარების პროგნოზირება სტრატეგიული დაგეგმვის ფარგლებში (იგულისხმება მიწის რესურსებზე მოთხოვნილება

ყველა დარგისა და სამეურნეო საქმიანობის სახეების მიხედვით). **ე.ი. პირველ ეტაპზე უნდა შეფასდეს მიწის რესურსების გამოყენების დონე (მისი სამეურნეო, ეკონომიკური, ეკოლოგიური,სოციალური, ორგანიზაციულ-მმართველობითი ასპექტები) და ამის შესაბამისად პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის თანამედროვე პრინციპების (მეთოდების) გამოყენებით გაკეთდება მიწის ფონდის საჭიროებებისა და შესაძლებლობების მიხედვით განსაზღვრულ მაჩვენებელთა პროგნოზული გაანგარიშებები.**

– პროგრამებში რეალურად უნდა აისახოს ქვეყნის რეგიონული თავისებურებები (ტენდენციები), ამასთან დაკონკრეტდეს მუნიციპალური ასპექტები. დღევანდელი მუნიციპალიტეტები ჩამოყალიბდნენ ადრე არსებული სოფლის ადმინისტრაციული რაიონების ბაზაზე და წარმოადგენენ ქვეყანაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს.

– დაგეგმვისას, როგორც წესი უნდა იქნას დაცული კომპლექსურობა. ამასთან უნდა განისაზღვროს მიწის რესურსების პროგნოზირებისა და დაგეგმვის იერარქიული დონეც. ჩვენი **აზრით, იგი უნდა იყოს ორ საფეხურიანი - ცენტრალური და მუნიციპალიტეტების დონე. მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის პროგნოზირებისა და დაგეგმვის სამსახური უნდა ფუნქციონირებდეს მიწის მართვის იმ ორგანოში, რომელიც პრაქტიკულად ახორციელებს მიწის სახელმწიფო პოლიტიკას. დღეს ქვეყანაში ასეთ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო.**

– გადაწყვეტას მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო მიწის რეზერვის (მარაგის) განსაზღვრის საკითხიც. მიწის (ნიადაგის) საფარის ვარგისიანობა უნდა იყოს განხილული შესაბამისი კვლევების და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით. მიწის რესურსების მრავალფუნქციური დანიშნულება თავად გულისხმობს მათი გამოყენების შესაძლებლობათა მრავალფეროვნებას, რაც საბოლოოდ იძლევა საშუალებას გაკეთდეს სწორი არჩევანი. დღემდე მიწათსარგებლობაში ცვლილებების შეტანა ხდებოდა (ხდება) სუბიექტური მოსაზრებებით (ცალკეულ შემთხვევებში ვიწრო ეკონომიკური ინტერესებით) და არა ეკოლოგიური და სოციალური ტენდენციების გათვალისწინებით. პრაქტიკამ გვიჩვენა, თუ როგორი ნეგატიური შედეგები ახლავს ასეთ მიდგომას. **ამიტომ, წინა პლანზე დგას მიწის რესურსული პოტენციალის მიზნობრივი მართვის მდგრადი სისტემის ჩამოყალიბების ამოცანა.**

– უნდა დადგინდეს მიწის ის ფართობები, რომლებიც შემდგომში გამოყენებული იქნება სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის. კერძოდ, როგორია მათი გამოყენების დონე, რამდენად სწორად მიეკუთვნება მიწის ამა თუ იმ კატეგორიას. ანალიზს საფუძვლად უნდა დაედოს მიწის ფართობების მდგომარეობის შესახებ ობიექტური ინფორმაცია. ამასთან არგუმენტირებული უნდა იყოს მისი გამოყენების მიზანშეწონილობა მათ შორის ეკოლოგიური თვალსაზრისით. ის, რომ პრიორიტეტი ენიჭება მიწის სასოფლო-სამეურნეო ათვისებას არ ნიშნავს იმას , რომ სხვა (არა სასოფლო) ფართობების გამოყენება არ განისაზღვროს მიზნობრივად, მაგალითად, რეკრეაციული რესურსების, მრეწველობის და სხვ. ასეთ მონაცემთა ბაზაზე განისაზღვრება მიწის სახელმწიფო რეზერვიც (მარაგი).

– ბუნებრივი საწარმოო პირობების მრავალფეროვნების გათვალისწინებით (რომელიც მოითხოვს ნიადაგის დამუშავებას, მისი ნაყოფიერების ამაღლების სხვადასხვა მეთოდებისა და ხერხების გამოყენებას), აუცილებელია რეგიონების მიხედვით მინერალური და ორგანული სასუქების, ასევე პესტიციდების და სხვა საშუალებების გამოყენების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სისტემების ჩამოყალიბება. ამ მიზნით უნდა შემუშავდეს სახელმწიფო პროექტი (პირობითად „ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებათა სისტემა“), რომლის განხორციელებით შეიქმნება სათანადო გარემო მიწის (ნიადაგის) მიზნობრივად გამოყენების პროცესის სწორად რეგულირებისათვის.

– აუცილებელია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრში შეიქმნას მიწის რესურსული პოტენციალის კვლევის განყოფილება, რომელიც სახელმწიფოს გრძელვადიანი სტრატეგიის შესაბამისად მოამზადებს სათანადო რეკომენდაციებს მიწის რესურსული პოტენციალის გამოყენების, დაცვისა და აღწარმოების საკითხებზე.

– ამჟამად აქტუალურია მიწის რესურსული პოტენციალის მართვის (პროგნოზირება, დაგეგმვა, მიწის ეკონომიკური შეფასება, დაზღვევის ორგანიზაცია, ეფექტიანობის ამაღლების სტიმულირება, საიჯარო ურთიერთობები, კონკურენტუნარიანობა, კვალიფიციური კადრების მომზადება და სხვა) პრობლემების (პროცესების) შესწავლა-ანალიზის საფუძველზე კონკრეტულ სიტუაციებს (ამოცანებს) მისადაგებული ღონისძიებათა სისტემის შემუშავება-განხორციელება.

– მიწის რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის აუცილებელია წარმოების სხვა ძირითადი ფაქტორების (შრომა, კაპიტალი, მეწარმეობრივი უნარი, ინტეგრირებული ცოდნა, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და სხვ), გამოყენების თავისებურებათა, ურთიერთმოქმედების მექანიზმის სწორად განსაზღვრა და ობიექტურად შეფასება. ეს განპირობებულია იმით, რომ უკანასკნელ წლებში აგრარულ სფეროში წარმოების ძირითადი ფაქტორების გამოყენების პროცესი კოორდინირებულიც არ არის. მაგალითად, კაპიტალი (საწარმოო ფონდები, ფინანსური რესურსები) ყაირათიანად არ გამოიყენება. ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად სამუშაო ძალის გადამზადების სისტემაც არ ფუნქციონირებს. ინტეგრირებული ცოდნა (გამოყენებითი მეცნიერება, ინოვაციური მიდგომები) წარმოების პროცესში კომპლექსურად არ არის ჩართული. ყოველივე ეს განაპირობებს იმას, რომ სახელმწიფოს ეკონომიკურ (აგრარულ) პოლიტიკაში სათანადოდ არ არის გათვალისწინებული ქვეყნის ბუნებრივ-საწარმოო პოტენციალის ტრანსფორმაციის

თავისებურებანი, რეფორმების შედეგად ჩამოყალიბებული ახალი ტენდენციები.

8. მიწის მართვის ეროვნული სააგენტოს – ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის აუცილებლობა

ექსპერტთა აზრით, ამჟამად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს, უმჯობესია ეწოდოს: **მიწის მართვის ეროვნული სააგენტო.**

– **მიწის სახელმწიფო ფონდის ინვენტარიზაციის (კონსოლიდაციის) ორგანიზებულად ჩატარებისათვის: მიზანშეწონილია შეიქმნას საუწყებათაშორისო კომისია (საკოორდინაციო ჯგუფი), რომელმაც** ინვენტარიზაციის, ასევე კონსოლიდაციის მიწათსარგებლობის სქემის შედგენის პროცესის რეგულირებასთან **ერთად უნდა უზრუნველყოს მიწის კოდექსის, მიწის კადასტრის დამუშავების, „მიწათმოწყობის შესახებ“ კანონპროექტზე მუშაობის** კოორდინაცია იმ ვარაუდით, რომ უახლოეს პერიოდში შესაძლებელი იყოს მათი დამტკიცება. აღნიშნული სამუშაოებისათვის არ უნდა გამოვრიცხოთ კონკურსის წესით და საგრანტო პრინციპების საფუძველზე დროებითი კოლექტივების შექმნაც.

– **ქვეყანაში მიწათმოწყობის სამსახური მიზანშეწონილია ფუნქციონირებდეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწის მართვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზაციულ სისტემაში. სააგენტოს უნდა დაეკისროს მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირების, სტრატეგიული დაგეგმვის და კოორდინაციის ფუნქციების შესრულება. სააგენტოს მუნიციპალიტეტებში უნდა ჰყავდეს წარმომადგენლობა, რომლებიც მოცემულ ტერიტორიებზე უზრუნველყოფენ, მიწის სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად მათ უფლებამოსილებებს მიკუთვნებულ საქმიანობას და ასევე განახორციელებენ მიწის რესურსების გამოყენების და დაცვის სახელმწიფო მონიტორინგს და კონტროლს.**

– მიწის მიზნობრივი გამოყენებისას (სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების, გზების და სხვა მშენებლობები) ნიადაგების ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, დაცვისა და მიზნობრივად გამოყენების, მიწის გამოყენების, დაცვის, სახელმწიფო მონიტორინგისა და კონტროლის, ასევე პირუტყვის გადასარეკი ტრასების (ტერიტორიის) გამოყენებისა და დაცვის ფუნქციები გადაეცეს მიწის ეროვნულ სააგენტოს.

– **უნდა შეჩერდეს მიწის მიზნობრივი დანიშნულებისა და სასოფლო-სამეურნეო კატეგორიების შეცვლის ახლანდელი პრაქტიკა, რომელიც ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების არამიზნობრივად გამოყენების სტიმულირებას. მიწის მიზნობრივი დანიშნულებისა და სასოფლო-სამეურნეო კატეგორიების შეცვლის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება უნდა გადაეცეს მიწის მართვის ეროვნულ სააგენტოს.**

– **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2030 წლამდე პერიოდისათვის უნდა უზრუნველყოს მიწის ფართობების დეგრადაციის შეჩერების, შემდეგ კი მისი აღმოფხვრის მიზნით მიწის დეგრადაციის (ეროზიის, დაჭაობების, გაუდაბნოების, დაბინძურების და სხვ.) საწინააღმდეგო ღონისძიებათა (ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკური, სატყეო, მელიორაციული, ჰიდროტექნიკური და ა.შ.) სახელმწიფო პროგრამის შემუშავება.**

– **მომზადდეს სათანადო ღონისძიებანი (სამართლებრივი, ორგანიზაციული საფუძვლები) უპირველეს ყოვლისა, სოფლის მიმდებარე სათიბ-საძოვრების ფართობების მუნიციპალიტეტებზე უვადო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი სათიბ-საძოვრები მართვაში გადაეცეს მიწის მართვის ეროვნულ სააგენტოს.**

– **მიწის კონსოლიდაციის პროცესის რეგულირების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების მიზნით შეიქმნას მიწის ფონდი (სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის საფუძველზე), რომელსაც მიემაგრება (გადაეცემა) მართვისათვის** ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობები, ასევე აღიჭურვება უფლებამოსილებით შეისყიდოს მიწის ფართობები (მესაკუთრეებისაგან), ე.ი. იყოს აქტიური სუბიექტი მიწის ბაზარზე. ფონდს დაეკისრება მიწის ფართობების (მათ შორის მიწის სახელმწიფო მარაგების) წესრიგში მოყვანა (გამასივება, გასარწყავება, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება, მიწის რეკულტივაცია, კონსერვაცია და ა.შ.) და შემდგომში გასხვისებისა ან იჯარით გაცემის ფუნქცია. ასეთ პირობებში უფრო შესაძლებელია მიწის რესურსების პოტენციალის მართვაში ეფექტიანად გამოყენებულ იქნას სახელმწიფო პროტექციონიზმის მასტიმულირებელი ფორმები და მეთოდები. **მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული ფონდი ფუნქციონირებდეს მიწის მართვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზაციულ სისტემაში.**

– იმის გათვალისწინებით, რომ მიწის რესურსების პოტენციალის მართვა დარგთაშორისი ფუნქციაა, რომლის წარმატებით განხორციელებაზე არსებითადაა დამოკიდებული ქვეყნის მდგრადი განვითარება, საბაზრო პირობებში შრომის დანაწილების წინააღმდეგობრივი პროცესის სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვით რეგულირება და მიწის პოტენციალის მართვის მასშტაბების გაფართოება, აუცილებელია მიწის მართვის სააგენტოს ორგანიზაციული სისტემის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფა. ამას განაპირობებს რიგი გარემოებები:

– საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში დაშვებული შეცდომების შედეგად სასოფლო-სამეურნეო წარმოება სისტემური კრიზისის ქრონიკული ფაზისათვის დამახასიათებელ თითქმის ყველა ნიშანთვისებებს ამჟღავნებს. განსაკუთრებით ეს აისახა მიწის რესურსების გამოყენებაზე. კერძოდ:

– მიწების ფართობების დიდი ნაწილი არ მუშავდება. თუ 1990 წელს საქართველოში ნათესმა ფართობმა შეადგინა 702 ათასი ჰექტარი, 2024 წელს

-191,5 ათასი. 1990-2024 წლებში სოფლად მოსახლეობა შემცირდა 918 ათასი კაცით. მიწის დეგრადაციის პროცესები ღრმავდება. რეფორმამდელ (1990 წ.) პერიოდთან შედარებით კატასტროფულად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. მსოფლიო ბანკის ინფორმაციით 1990 წელს საქართველოში წარმოებული იყო 2,7 მლრდ დოლარის ღირებულების პროდუქცია, 2022 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 1,2 მლრდ დოლარი.

– აგრარული რეფორმების შედეგად ჩამოყალიბებული ნეგატიური ტენდენციები საშიშ ხასიათს იღებს, განაპირობებს სასოფლო ტერიტორიების არამდგრადობას, რაც საბოლოოდ სასურსათო უსაფრთხოების რისკებს ზრდის და ქვეყანა არსებითად დამოკიდებული ხდება გარე ფაქტორებზე (იმპორტი, 2024 წელს სურსათის უარყოფითმა სალდომ 1,6 მლრდ დოლარი შეადგინა).

– ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტისათვის აუცილებელია მიწის რესურსების გამოყენების, დაცვისა და აღწარმოების (როგორც ინტეგრირებული პროცესის) ადმინისტრირების შესაბამისი უფლება-მოვალეობები განესაზღვროს მიწის მართვის ეროვნულ სააგენტოს. მხედველობაში გვაქვს მისი მატერიალური და ორგანიზაციული ბაზის სრულყოფა, საკადრო პოტენციალის განმტკიცება, დარგთაშორისი ფუნქციების შესრულებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა. პირველ რიგში უნდა განისაზღვროს სასოფლო ტერიტორიების განვითარებაში მისი ესკლუზიური როლი. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ სასოფლო ტერიტორია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან ერთად მოიცავს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობებსაც, რომლებიც დღეს ფაქტობრივად სახელმწიფო რეგულირების მიღმაა დარჩენილი. **მიწის ეროვნულ სააგენტოს დღევანდელი ორგანიზაციული სტრუქტურა, ანუ მისი სრულყოფის შესაბამისი ღონისძიებანი არ განხორციელდა. ქვეყნის მიწის რესურსების პოტენციალის მართვის თანამედროვე პრობლემების გადაწყვეტისათვის მასზე თუნდაც ახლა მინიჭებულ ფუნქციებსაც ვერ შეასრულებს. იგი დღეს მოწყვეტილია მართვის ობიექტს - ქვეყნის ტერიტორიაზე (მხარე, მუნიციპალიტეტი) წარმომადგენლობაც არ ჰყავს.**

9. ადგილობრივი მმართველობა – მიწის რესურსული პოტენციალის ეფექტიანი მართვის განმსაზღვრელი ფაქტორი

– **ქვეყნის მდგრად განვითარებაში განსაკუთრებული როლს ასრულებენ სასოფლო ტერიტორიები, რომლებიც წარმოადგენენ ერთმანეთთან დაკავშირებული (ინტეგრირებული) ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ელემენტების სისტემას, რომელშიც სისტემა - შემქმნელის როლს ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოება და ისტორიულად ჩამოყალიბებული განსახლების ტიპი და მოსახლეობის ცხოვრების სახე (წესი).**

– მიწის რესურსების გამოყენებაში ჩამოყალიბებული თავისებურებათა და ტენდენციების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანამედროვე პირობებში (რიგი გარემოებების გამო) აუცილებელია ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში განმსაზღვრელი როლი მუნიციპალიტეტებმა შეასრულონ.

– **ადგილობრივი თვითმართველობა ფაქტობრივად წარმოადგენს სასოფლო ტერიტორიების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების, ე.ი. მდგრადობის უზრუნველყოფის განმსაზღვრელ ფაქტორს. ამ ესკლუზიური როლის შესრულებისათვის მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი უფლება-მოსილება. ეს დროის მოთხოვნაა და განპირობებულია მუნიციპალური წარმონაქმნების მართვის სტრატეგიულ მეთოდებზე გადასვლით, სოფლად დაგროვილი მასშტაბური პრობლემების (ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური, ეკოლოგიური) გადაწყვეტის აუცილებლობით. ტერიტორიის განვითარების რთული ამოცანების შესრულებას უნდა მოემსახუროს მიწის (მუნებრივი რესურსის – წარმოების ფაქტორის – მეურნეობრიობის ობიექტის) მართვის ინტეგრირებული სისტემა, რომელიც იერარქიულად წარმოდგენილია სქემით სახელმწიფო (ცენტრალური) – რეგიონული (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა) – მუნიციპალიტეტი. იმისათვის, რომ მიწის რესურსული პოტენციალის მართვა ეფექტიანად განხორციელდეს (იგულისხმება ერთიანი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომებით) აუცილებელია დარგობრივი და ტერიტორიული ინტერესების, მიზნების, ამოცანების, მათი მიღწევის საშუალებათა კონცენტრირებულად რეგულირების (მართვის) მობილური მექანიზმი.**

– იმის გათვალისწინებით, რომ მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების პრობლემა არსებითად წყდება ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიულ საზღვრებში, იქ უნდა შეიქმნას ხელსაყრელი პირობები მიწის რესურსული პოტენციალის მართვაში (რეგულირებაში) თანამედროვე ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სიახლეების გამოყენებისათვის. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ტერიტორიაზე არსებული მიწის გამოყენების, დაცვისა და აღწარმოების დღევანდელი მდგომარეობის შეფასება და მასშტაბებისა და პერსპექტივების განსაზღვრა.

– მხედველობაში უნდა მივიღოთ ის თავისებურებაც, რომ მუნიციპალური წარმონაქმნი (რთული ინტეგრირებული სისტემა) არსებითად დამოკიდებულია ზემდგომი ორგანოების საქმიანობაზე, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მართვის პროცესში ერთდროულად მოქმედებს პოლიტიკური, ეკონომიკური, საბაზრო, ეკოლოგიური და სხვა ფაქტორებიც.

– **ადგილობრივი თვითმმართველობა (მუნიციპალიტეტი) მიზანშეწონილია ორ დონიანი (საფეხურიანი) იყოს:**

– **მუნიციპალიტეტი და სოფელი,** როცა სოფლის მიწის ფართობით, მოსახლეობის რიცხოვნობით, რესურსული პოტენციალით ფუნქციონირებისათვის სათანადო პირობები გააჩნია, **ან თემი,** რომელიც მოიცავს რამდენიმე დასახლებას (სოფელს). თვითმმართველობის პირველ საფეხურზე (ქვეყნის განვითა-

რების ეტაპების თავისებურებათა გათვალისწინებით) მართვის ორგანოს შექმნის ორი ვარიანტი შეიძლება განვიხილოთ. პირველი – **სოფლის (თემის) მოსახლეობა** კრებაზე ან ყრილობაზე ირჩევს გამგეობას, რომლის შემადგენლობიდან აირჩევა გამგებელი (მამასახლისი) და მდივანი, ან როცა **სოფლის მოსახლეობა პირდაპირი** ან დახურული კენჭისყრით ირჩევს სასოფლო (სათემო) საბჭოს, რომელიც ამტკიცებს აღმასკომის თავმჯდომარეს და მდივანს. **პირველი საფეხურის თვითმმართველობას სოფელს (თემს)** გადაეცემა სარგებლობაში მის ტერიტორიაზე არსებული მიწის ფართობი (სათიბი, საძოვარი, ტყე, წყლის ფონდის მიწა და სხვ). **სოფელი (თემი)** მუშაობს ტერიტორიის განვითარების გეგმით (მუნიციპალიტეტების კომპლექსური განვითარების გეგმის ნაწილი). რომელშიც მოსახლეობის უშუალო ჩართულობით განისაზღვრება პრიორიტეტები, ფინანსური წყაროები: (მიწის)ქონების) გადასახადის, ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი საწარმოების, ვაჭრობის ობიექტების და სხვა ორგანიზაციების შემოსავლების გარკვეული ნაწილი, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მიღებული სახსრები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მთის რეგიონების (მუნიციპალიტეტების), სოფლების (თემების) მდგრად განვითარებას. ამჟამად მოქმედი კანონი ვერ უზრუნველყოფს მთის მწვავე პრობლემების გადაწყვეტას.

– ზემოთ აღნიშნული სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტისათვის აუცილებელია მიწის მართვის ცენტრალური ორგანოსა (მიწის მართვის ეროვნული სააგენტო) და მუნიციპალიტეტის ფუნქციების სწორად გამიჯვნა.

– **ამ თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე ვარიანტი.**

– **პირველი.** გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწის მართვის ეროვნულ სააგენტოს (თუ მას ზემოთ აღნიშნული ფუნქციები დაეკისრება) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნდა ჰქონდეს სტრუქტურული ერთეული (ჰყავს წარმომადგენლობა) და მისი მეშვეობით ტერიტორიაზე ახორციელებს კომპეტენციით განსაზღვრულ საქმიანობას. **საწყის ეტაპზე ამ ფორმის უპირატესობა ისაა, რომ სივრცის დაგეგმარების, მიწის სახელმწიფო ფონდის ინვენტარიზაციის, მიწის რეგისტრაციის, კონსოლიდაციის, სოფლებს შორის საზღვრების გამიჯვნის, მიწათმოწყობის სქემების,** მიწის კადასტრის შედგენისათვის სათანადო ინფორმაციული ბაზის შექმნის და სხვა ოპერატიული საკითხები ცენტრალიზებულად, უფრო ორგანიზებულად და შემჭიდროებულ ვადებში გადაწყდება.

– **მეორე. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციაში (ადგილობრივ ბიუჯეტზე) შეიძლება გამოიყოს სპეციალისტები, რომელებიც** კომპეტენციის ფარგლებში იმუშავებენ ტერიტორიაზე მიწის რესურსული პოტენციალის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე და უშუალოდ ითანამშრომლებენ მიწის მართვის ეროვნულ სააგენტოსთან. ამ ფორმის უპირატესობა ისაა, რომ ადგილობრივი პირობები უფრო ობიექტურად იქნება გაცნობიერებული, რაც უფრო საგნობრივს (მიზნობრივს) გახდის მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა შემუშავებას (განხორციელებას) და ტერიტორიული და დარგობრივი ინტერესების დაბალანსებას.

– **მესამე. მუნიციპალიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში შეიქმნას აგრარული სექტორის განყოფილება (ან სხვა ფორმით), რომელიც პასუხისმგებელია** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აგრარული პოლიტიკის (იგულისხმება მიწის პრობლემების გადაწყვეტაც) განხორციელებისათვის და თანამშრომლობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მისი შესაბამისი სამსახურების მეშვეობით. ამ ფორმის უპირატესობა ისაა, რომ ტერიტორიის განვითარების ინტერესები უფრო ფართოდ იქნება წარმოდგენილი, თანაც ტერიტორიის მდგრადი განვითარების სტრატეგიული მიზნების (ამოცანების) განხორციელების კონტექსტში.

– ერთი რამ ცხადია, მიწათმოწყობის, მიწის გამოყენების, დაცვისა და აღწარმოების ძველი (მემკვიდრეობით მიღებული - ფრაგმენტაცია, ვერტიკალური ზონალობა და სხვა თავისებურებები) და ახალი (მიწების აღრიცხვის მოუწესრიგებლობა, დეგრადაციის გაღრმავება, მექანიზაციის უკიდურესად დაბალი დონე, სამუშაო ძალის მიგრაცია, სოფლად მძიმე სოციალური მდგომარეობა და სხვა) რთულ კვანძებად შეიკრა. მათი გადაწყვეტა ე.წ სტანდარტული მეთოდებით, ცალმხრივი მიდგომებით, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო საბაზრო პრინციპებზე აგრარული სექტორის გადასვლის პროცესისათვის, ფაქტობრივად შეუძლებელია.

– **ყველაზე საშიში ის ტენდენციაა, რომ დღეს სოფლად ორი ურთიერთდაკავშირებული პრობლემა - სიღარიბე და უმუშევრობა განსაზღვრავს ქართული სოფლის ფენომენს, რომელსაც სტატუსიც არა აქვს. საცხოვრებელს მასობრივად ტოვებს სოფლად მცხოვრები. ყალიბდება მიწისა და შრომისადმი ამპარტავნული დამოკიდებულება, რაც აძლიერებს პასიურობას, გაუცხოების, ეროვნული სიმდიდრის განიავება-დატაცებისადმი მიდრეკილებას. სოფლის მეურნეობა დღეს ფაქტობრივად ნატურალურ მეურნეობას, როგორც წარმოების ფორმას ეყრდნობა, კოოპერაციის განვითარებას როგორც ეკონომიკური პოტენციალის კომპლექსურად ამოქმედების აღიარებულ ფორმას სათანადო ყურადღება არ ექცევა. დღევანდელი სოფლის მუშაკი თავისი პოტენციალით, მწირი ფინანსური რესურსებით, კვალიფიკაციის დაბალი დონით მკაცრ კონკურენტულ გარემოში თავის ფუნქციებს ვერ შეასრულებს. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის კვალიფიკაციური კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემები, სოფლის საწარმოო (საინჟინრო) და სოციალური ინფრასტრუქტურა ჩამოყალიბების სტადიაშია, მიწის ნაყოფიერება კატასტროფულად ეცემა.** სავარგულების დიდი ნაწილი (ჩაის პლანტაციები, საძოვრები და სხვ.). ფაქტობრივად შეწყვეტილია კულტურულ-ტექნიკური სამუშაოები, მინიმალურად არის გამოყენებული საექსპორტო პროდუქციის წარმოების პოტენციალი.

10. მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენებისთვის აუცილებელია ეკონომიკის სახელმწოფო რეგულირების მექანიზმი

– ამ მიზნით უნდა დამუშავდეს კონცეფცია „გარღვევის სტრატეგია – მობილიზაციური (ინოვაციური) მოდელი“. მის ბაზაზე შედგეს სახელმწიფო პროგრამა 2030 წლამდე პერიოდისათვის „საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მდგრადი განვითარება-მოდერნიზაცია“. პროგრამის მეთოდოლოგიური საფუძველია სტრატეგიული მიზნის (ჩვენს შემთხვევაში არაეფექტიანი საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეფექტიან სისტემად გარდაქმნა) და მისი მიღწევის მთავარი რგოლის (ჩვენს შემთხვევაში – ბუნებრივი (მიწის) და ინტელექტუალური პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება) შერჩევის, საკვანძო პრობლემების გადასაწყვეტად რესურსების კონცენტრაციის პრინციპები. ასეთი პროგრამის (სტრატეგიის) ჩამოყალიბება, მით უფრო განხორციელება არსებითად დამოკიდებულია სტრატეგიული დაგეგმვისა და სტრატეგიული მართვის პრინციპებზე ჩამოყალიბებულ ორგანიზაციულ-მმართველობით მექანიზმზე. პროგრამის შემუშავებისათვის მიზანშეწონილია შეიქმნას საუწყებათაშორისო სამთავრობო კომისია დაინტერესებული სამინისტროების (უწყებების) სამეცნიერო წრეების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური ინსტიტუციების, საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

– პროგრამაში სამ მთავარ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი. **პირველი.** განვითარების რომელ საფეხურზეა ქვეყნის ეკონომიკა? როგორი თვისებებით, კანონზომიერებებით ხასიათდება იგი? ამ კითხვაზე დასაბუთებული პასუხი იმიტომ გვჭირდება, რომ ვიცოდეთ, როგორია გარღვევის სასტარტო ბაზა, საზოგადოების ქცევა (მოტივაცია), გლობალურ პროცესებთან ადაპტორების დონე და სხვ., რაც საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივის პროგნოზირებასა და სტრატეგიულ დაგეგმვას. **მეორე.** საით უნდა წავიდეთ (სტრატეგიული მიზანი), როგორ სიტუაციებში (რისკები) განვითარდება ეკონომიკა? აქ საკმარისი არ არის ვიცოდეთ საკუთარი შესაძლებლობები, არამედ უნდა შეფასდეს გარემოც – მეზობელი ქვეყნების და საერთოდ (გლობასლური) ინტერესების პოტენციალი. მათი თანხვედრის, თუ დაპირისპირების მოსალოდნელი გამოწვევები და მექანიზმი, რათა მართვის თანამედროვე მეთოდზე დაყრდნობით სწორად განისაზღვროს განვითარების მთავარი მიმართულებები. **მესამე.** რომელ რესურსებზე ვაპირებთ ორიენტაციას და რა პერიოდებით და როგორი მექანიზმებით ვფიქროთ დასახული მიზნის მიღწევას (ეტაპები, ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმი, დაფინანსების წყაროები, მეცნიერული უზრუნველყოფა, გლობალურ პროცესებთან თავსებადობა და სხვ.

– მიგვაჩნია, რომ ზემოთ დასახელებულ ღონისძიებათა თანმიმდევრულად და განსაზღვრულ ვადებში განხორციელება შექმნის მყარ მატერიალურ და ორგანიზაციულ საფუძველს მრავალდარგოვანი აგრარული მეურნეობის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ბუნებრივი რესურსები და მათი რაციონალურად გამოყენების პრობლემები (რუს.). თბილისი, 1991 წელი

2. საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ

3. Генеральная схема противоэрозийных мероприятий Грузинской ССР в 1981-1990 годы на период до 2000 года. Тбилиси., 1987 год.

4. Планирование использования земельных ресурсов для устойчивого управления землепользованием, профессиональная и сельскохозяйственная объединенных наций. Рим, 2018 год.

5. ე. ნაკაიძე საქართველოს მიწის რესურსები და მათი რაციონალურად გამოყენების პრობლემები (რუს). თბ., „მეცნიერება“, 1997 წელი

6. საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი. მიწის შესახებ საქართველოს კანონმდებლობათა კრებული. თბილისი, 2004 წელი

7. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. შრომების კრებული, ტ.1. თბილისი, 1996 წელი, ტომი 11 1997 წელი

8. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. თბილისი, 2005 წელი

9. საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწის პრივატიზება და იჯარით გაცემის მიმდინარეობის შესახებ (2003 წლის 01.04 მდგომარეობით). თბილისი, 2003 წელი

10. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. თბ. 2004 წელი

11. Европейская экономическая комиссия, Женева – управление земельными ресурсами в Европе. Тенденции развития и основные принципы Организации Объединенных Наций. Нью-Йорк-Женева, 2005 год

12. ნ.ჭითანავა. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ორგანიზაციული პრობლემები, 1993 წელი

13. ნ.ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბილისი 2001 წელი

14. ნ.ჭითანავა. საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები. თბ. 2012 წელი

15. ნ.ჭითანავა. საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია. თბილისი, 2018 წელი.

16. ნ.ჭითანავა. საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი, 2015 წელი, 160 გვ.

17. საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები. რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი 1(3), თბილისი, 2023 წელი

18. პ.კოღუაშვილი. როგორ ავაღორძინოთ ქართული სოფელი. ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ N5, 2010 წელი